



იქორი

E-mail: r.jalagania@mail.ru



№200 (259)

11-18 დეკემბერი 2012

სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორბანი

30 თეთრი

ვინ არიან ნაციონალეზი?..

უამრავი რამ დაგვიწერია პოლიტიკურ მოძრაობად წოდებულ ამ დანაშაულებრივ ორგანიზაციას, რომელიც წლების განმავლობაში ამკვიდრებდა საქართველოში სიღატაკს, შიშსა და ყოველგვარ სისაძაგლეს. ჩვენ მათ ეთნიკურად არაქართული ძალებით დაკომპლექტებულ სექტარულ მოვიხსენიებდით, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ამ დანაშაულებრივ სტრუქტურაში ეთნიკური ქართველებიც უხვად იყვნენ, რომელნიც ერთნაირი მონდობებით უთხრიდნენ ძირს ქართულ სახელმწიფოებრივობას.

სხვაგვარად არც შეიძლება ყოფილიყო, რადგან **“ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”** ჩამოყალიბდა ასევე ქვეყნის დამაქცევარი ელვად შევარდნადის ხელდასხმით და მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ძალა ერთგულად გაჰყვოდა შევარდნადის მიერ შემუშავებულ ქვეყნის იაგრადქცევის ხაზს. ნაცების ამგვარი მავნებელი მონდობა მათი მმართველობის პირველივე წელს გამოიკვეთა, მაგრამ უკვე გვიანი იყო – მანქურთმა სააკაშვილმა და მისმა პატარ-პატარა მანქურთებმა უკვე საბოლოოდ დაიმორჩილეს პოლიცია და ჯარი და თანდათან შეუღებნენ ტოტალიტარული სახელმწიფოს შენებას. მათ მიერ მოსყიდული დასავლელი ლობისტების და არაკეთილსინდისიერი პოლიტიკოსების დახმარებით კი მიუღ მსოფლიოს არწმუნებდნენ, რომ დემოკრატიულ საქართველოს აშენებდნენ ღია საზოგადოების ნდობით იყვნენ აღჭურვილები.

საზოგადოების პროტესტის ხმა დემონსტრანტების ზურგზე ხელკეტებით ბრავუნისა და მათზე მიშველებულ წყლის ჭავლის სისინში იხშობოდა.

ხალხი დაშინდა, რადგან ნაციონალეზი ყოველივე კანონისა და კანონიერების უგულვებელყოფით ჩაგრაგნენ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს, დაუსაბუთებლად ართმევდნენ წლებით ნაგროვებ ქონებას, ყალბი ბრალდებებით სვამდნენ ციხეებში, სადაც მათ წამება და შეურაცხყოფა ელოდათ. გახშირდა პოლიციელთა მიერ უდანაშაულო ახალგაზრდების შუა ქუჩაში ჩახოცვის შემთხვევები...

საქართველო მალე დაემსგავსა არაკომფორტულ ციხეს, სადაც **“არანაციონალეზს”** აყრილი ჰქონდათ ყოველგვარი მოქალაქეობრივი უფლება. ადამიანები მასურად ტოვებდნენ სამშობლოს და უცხოეთში გაურბოდნენ აუტანელ სიღატაკს და ხელსუფლების ძალადობას.

მალე არა მხოლოდ ქართველები, არამედ უცხოელებიც დარწმუნდნენ, რომ ნაციონალეზი და მათი **“ბელადი”** – სულით და სხეულთა მახინჯი სააკაშვილი ჩულებრივი ქუჩის ქვაბავაზაკები იყვნენ, რომელთა ძირითადი მიზანი გახლდათ პირადი გამდიდრება და საქართველოს დაშლა-განადგურება!

ამრიგად, **“ნაციონალური მოძრაობა”** იქცა ტერორისტულ ორგანიზაციად და ევროპული დიპლომატიისა და საერთაშორისო თანაცხოვრების კაზუსი სწორედ ის იყო, რომ ანგარიშს უწევდნენ იმ დამნაშავე პოლიტიკურ ძალას, რომლისთვისაც ხალხს არც მანდები მიუცია და არც ნდობა გამოუცხადებია. ეს გახლავთ პოლიტიკანთა თავყრილობა, რომელსაც არ გააჩნია არავითარი იდეოლოგია და ძირითადად მოტივირებულია ქვეყნის ტრადიციების განადგურებასა და სულიერების მოშლას. პარტია იდეოლოგიის გარეშე კი არის დანაშაულებრივი მაფიოზური კლანი და სხვა არაფერი!

ახლა კი, გასაცოდავებულად უნდა მონახვენი თავი საზოგადოებას, მაგრამ მომავალი სასჯელის შიშით ატანდები მაინც იმუქრებიან და ცდილობენ ხალხის დაშინებას. ცხოველის ერთ-ერთ სახეობას ახასიათებს ასეთი რამ, ის ქმნის ხმაურს,

რათა მოსალოდნელი შიში გადაფაროს. ამას მაგონებს **“ნაციონალეზის”** ისტერიკა, რომლებიც დანაშაულის გადაფარვას ტრიბუნებს ამოფარებით ცდილობენ, მაგრამ ძალიან ახლოს არის ის დრო, როდესაც ვერც ეს უშველით და ხალხიც სიამოვნებით დაელოდება იმ დღეს.

დღესდღეობით კი, უმცირესობის წარმომადგენლები არიან ან დანაშაულის ჩამდენები, ან შემსრულებლები, ან კიდევ **“გამკეთილშობილებები”**, რომლებიც დღეს საკუთარ თავს პარლამენტის დეპუტატებს უწოდებენ.

ახლა, როცა მათი დანაშაულებრივი მოქმედებების გამოძიება დაწყებულია, მთავარია, რომ ახალი ხელისუფლება არ შეწერდეს და ყველა საქმის გამოძიება ბოლომდე მიიყვანოს, განაჩენი კი უნდა იყოს ძალზე მკაცრი, რადგან, შესაძლოა, ღმობიერება გამოიჩინოს ქართველმა საზოგადოებამ, რადგან ჩვენი ხალხი ბუნებით მიმტკეპელია, მაგრამ დანაშაული, რომელიც ვიხილეთ და რომლის შესახებ გვსმენია, არასდროს უნდა განმეორდეს, რადგან ლაქა, რომელიც **“ცოცხების პარტიაში”** დაგვიტოვა, თავის ღიღერთან ერთად, მთელ ქვეყანას დააჩნდა. XXI საუკუნეში ქართულ ციხეებში აუპატიურებდნენ ადამიანებს, ეს კი მხოლოდ აკო მინაშვილის, გოკა გაბაშვილის, ახალაიების, თუბერძისა და მათი სულიერი და-ძმების უხნეობაზე კი არ მიანიშნებს, მთელი ქართველი საზოგადოების სირცხვილია.

მაინც, როგორ უნდა მიგვეყვანა საქმე იქამდე, რომ ერთი მუჭა კაცთმოძულეებისა და გაუნათლებელთა ბრბო თავს მოჯდომოდა მთელ ერს და დაუფარავად კეთებინა თანაობის ბიჭური საქმე?

სამწუხაროდ, ეს ფენომენი დასაწყის იღებს ჯერ კიდევ შევარდნადის მმართველობიდან, რომელმაც კარგად იცოდა, რომ პარტია ყოველთვის შეიძლება იქნეს გამოყენებული თანამედროვე დიქტატორული მართვის იარაღად, ვინაიდან ის მთელის ნაწილისადმი დამორჩილების ფორმულას განასახიერებს, იგი ნაწილის ძალაუფლებაა. იცოდა რა ამის თაობაზე, შევარდნადიმ მოქალაქეთა გაერთიანებას დაარქვა არა **“პარტია”**, არამედ **“მოქალაქეთა კავშირი”**, რითიც თავისი დიქტატორული მისწრაფებების ვუაღრება მოახდინა, საზოგადოებას კი ჩვეული უტყფრობით განუცხადა, რომ, მოდი, ჯერ ძლიერი სახელმწიფო ავა შენთვის, დემოკრატიაზე კი შემდეგ ვიზრუნოთ. სწორედ ეს გახლდათ საზოგადოების გაცუცურაკების კლასიკური სატყუარა, რომელიც დაუფიქრებლად გადაეცა ქართველმა ხალხმა და თავად გაჰყო თავი შევარდნადის დიქტატურის ყულვში.

შემდეგ კი, როცა ხალხმა საბოლოოდ შეიხიზლა და ზურგი შეაქცია შევარდნაძეს, მან გაითამაშა **“გარდების რეჟოლუციის”** უნიჭოდ დადგმული სპექტაკლი და ქვეყანას მოუვლინა უმწიფარ და უზრდელ ემპატილთა ბრბო, არა პარტიის, არამედ **“ერთიანი ნაციონალური მოძრაობის”** სახით.

შევარდნაძე-საკაშვილის პოლიტიკურმა კორპორაციამ **“ნაცები”** ფაქტურად გაქუცული და ნდობის ვიტრუმდარგული მოქალაქეების მოქიშე ძალად წარუდგინა საზოგადოებას, რომელსაც იმედი გაუჩნდა, რომ **“რეფორმატორებად”** გამოცხადებული გოგო-ბიჭების მიერ შექმნილი ახალი პოლიტიკური ძალა ფეხქვეშ ნიდავგს გამოაცდინდა მმართველ პარტიას და დაიკავებდა მის ადგილს. ეს იყო ცბიერთა მიერ გაკეთებული შეუმცდარი გათვლა, რადგან შიდაუთანხმოებრივ ბრძოლებში პარტიები იშვიათად მიმართავენ იარაღს. ისინი, ჩვეულებრივ, ასამართლებენ და ღაფს ასხამენ ერთმანეთის მოღვაწეობას. მოქალაქეებმა არაკომპეტენტურობა რომ დაემტკიცებინათ, **“ნაცები”** და მათი

“ენაწყლიანი” დემაგოგი ბელადი სააკაშვილი ყოველი ბრალდების გამოყენებით აქარწყლებდა მათ მიღწევებს (თუ კი, ასეთი რამ საერთოდ ჰქონდათ), ახდენდნენ მათი სამოღვაწეო პროგრამის დეზავიურებას, თუნდაც ეს პროგრამა მართლაც ყოფილიყო ქართველი ხალხის სამსახურში. ალბათ მეთხველებს კარგად ახსოვთ, თუ როგორ თათხავდა მაშინდელი იუსტიციის მინისტრი მიხეილ სააკაშვილი, მთავრობის სხდომაზე, იქ დამსწრე მინისტრებს და ღიად აბრალებდა მათ კორუფციონერობას, და როგორი **“სიმშვიდით”** ისმენდა ყოველივე ამას ელვად შევარდნაძე. ერთადერთი პოლიტიკოსი, ვინც მაშინ გაწიფდა შევარდნაძე-საკაშვილის დანაშაულებრივი პოლიტიკური ტანდემის ბინძური ჩანაფიქრი, გახლდათ ალექსანდრე ჭავჭავაძე, მაგრამ, სამწუხაროდ, მის დაღადის მაშინ ყური არავინ უგლო, რაც ძვირად დაუჯდა სრულიად საქართველოს!

მაშინ, ჩვენდა საუბედუროდ, ქართველმა ხალხმა ეს სატყუარაც დაუფიქრებლად გადაეცა, ხელი შეუწყო სააკაშვილის გაპრეზიდენტებას და მალე დაიწყო უბედურებათა მთელი კასკადი...

გამარჯვებული **“ნაციონალური მოძრაობის”** მიერ შექმნილი პარლამენტი ფაქტიურად იქცა ამ პოლიტიკური ძალის ნების ბრმად შემსრულებელ პარლამენტად, ამ პარლამენტის მიერ ჩამოყალიბებული არმასრულებელი ხელისუფლება კი გახლდათ **“ნაცთა”** ხელისუფლება, რომელსაც მთელი ქართველი ხალხის ინტერესების დამცველად მოჰქონდათ თავი, სინამდვილეში კი სააკაშვილისა და მისი ხროვის კაბრიზების ბრმა შემსრულებლები იყვნენ. ნაცებმა გერეთ წოდებული ოპოზიციის პოლიტიკური **“კასტრიტა”** მოახდინეს, მრავალი პოლიტიკური ძალა მოქრთამეს, შედარებით დაუმორჩილებლები **“გამარგინალეს”** და ოპოზიციას ფაქტიურად ჩამოართვეს ხალხის კონტროლის იმ ორგანოს ფუნქცია, რომელსაც მუდმივად უნდა ეკონტროლებინა მმართველი პარტიის საქმიანობა. ამრიგად, ნაცების ხელისუფლების მიერ საქართველოს კონსტიტუციის არაერთგვისი გაუპატიურებისა და სახელმწიფო ინსტიტუტების დამახინჯების შემდეგ შექმნა აბსურდული პოლიტიკური სიტუაცია – კონტროლი აღმოჩნდა ხელისუფლების სათავეში მდგომი პარტიის ხელში, ხელისუფლება კი ეკუთვნოდა იმ მმართველ პარტიას, რომელიც ახორციელებდა კონტროლს!

როგორც იტყვიან: **“შენ დაუკა!”** ქვეყანა ტოტალიტარიზმის ბურუსში ჩაიხიდა, საიდანაც აბევიდით ამოხარდა დიქტატორად ქცეული შეურაცხადი მიხეილ სააკაშვილის აბევიდითი ფიგურა. საქართველოს მეძავეების, ავანტიურისტების, მკვლელების, სადისტების, უხნო და რელიგიისთან მწყურადად მყოფი ადამიანების ხროვა დაეპატრონა! ქვეყანაში საბოლოოდ გაცამტვერდა მცნება – **“საერთაშორისო სამართალი და დემოკრატიის პრინციპები”** – ნათურებით გაჩაჩხახებულ საქართველოში პოლიტიკურმა უკუნმა დაისადგურა...

მალე დადასტურდა, რომ სააკაშვილისა და მისი ბრბოს საქართველოს ხელისუფლებაში მოსვლა იყო მსოფლიო კორიუნქტურის ერთ-ერთი სეგმენტი, რადგან მასონებს მუდამ სჭირდებათ დილაკი ქვეყანაში და არა ავტორიტეტული ღიღერები. ზუსტად ისევე, როგორც სოროსებს და კერკორიანებს სჭირდებათ ხალხის მასა და არა მოახროვნე საზოგადოება. არსებობს საერთაშორისო ინსტიტუტები, რომლებიც განცხადებების მეტს არაფერს აკეთებენ, მაგრამ განსაკუთრებულად ხმა-მალა სწორედ ისინი დაპარაკობენ, იღებენ დაუსრულებელ რეზოლუციებს მაშინ, როცა ადამიანებს ვიდაცის ხუშტურის გამო კლავენ და აუპატიურებენ. სამართლიანობა

კითხვის ნიშნის ქვეშ მხოლოდ იმიტომ რჩება, რომ ნაცთში, ევროკავშირში, რუსეთის დემაში ან ამერიკის კონგრესში რომელიღაც ჩინოვნიკს მიანჩნია, რომ სააკაშვილი კარგი ბიჭია. ისინიც კი ძალიან გვიან მიხვდნენ, რომ სააკაშვილი არის ჩამოყალიბებული ნაძირალა და საშიში ავადმყოფი, რომელსაც შეეძლო დიდი უსიამოვნებების გამოწვევა, განსაკუთრებით 2008 წელს რუსეთთან განადებული ომის შემდეგ, რამაც საქართველოს აუნახაღურებელი ზარალი მოუტანა.

მისდა სამარცხვინოდ, ქართველმა ერმა მაშინ სააკაშვილის უტიფარი სიცრუეც დაიჯერა – რუსეთისათვის ომის მოგების თაობაზე და ნაცვლად გლოვისა, რაც აფხაზეთსა და სამაჩაბლოსთან ერთად, დამატებით 159 დასახლებული პუნქტის დაკარგვის გამო უნდა გამოგვეცხადებინა, ტაშ-ფანდურა გავმართოთ რუსთაველის გამზირზე, და ეს მაშინ, როცა აგვისტოს ცხელ მზეზე იხრწნებოდა ამ უაზრო, დანაშაულებრივ ომში დაღუპული ქართველი მეომრების დაუმარხავი ცხედრები!

ვისი ბრალია, ყოველივე ეს, თუ არა ჩვენი უმეცრების და გულარხეინობისა?

ძალიან მალე კი **“ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”** მთლიანად დაეფუძნა ხალხის პარტიისადმი ბრმად დამორჩილების დესპოტურ ავტორიტარულ რეჟიმს. ამას კი საზოგადოების დაშინება სჭირდებოდა, რასაც **“შესანიშნავად”** გაართვა თავი სააკაშვილმა და მისმა ბანდამ; დაიწყო ზონდერების მიერ საპროტესტოდ გამოსული მშვიდობიანი დემონსტრანტების მხეცურად დარბევა, რასაც დიდი მსხვერპლი მოჰყვა, სხვაგვარადმოაზროვნეებს ციხეებში ისტუმრებდნენ ყალბი ბრალდებებით, მათადმი არაღლითურად დამოკიდებულ ბიზნესმენებს კი ძალის გამოყენებით ართმევდნენ ბიზნესს, ქვეყანას მონოპოლიური კლანები დაეპატრონენ, გადატაკებული ხალხი მასობრივად სტოვებდა საქართველოს და უცხოეთში მიდიოდა ლუკმა-პურის საძებრად, ქვეყანა დიცილა მოსახლეობისაგან, მათ ადვილს კი **“ნაცთა”** მიერ შემოთხლებული მათნაირი უჯიშოები იკავებდნენ და თანდათან ეპატრონებოდნენ წმინდა ქართულ მიწას...

დემრთმა კიდევ ერთხელ (ვინ იცის, უკვე მერამდენედ?) დაგვიჩინო, და როცა ნაცებსა და სააკაშვილს ეგონათ, რომ საქართველოს დაშლა-განადგურების **“დაშნაკეტიუნისული”** გეგმის პირველი ეტაპი განახორციელეს, სწორედ მაშინ დაეცათ მეხი ბიძინა ივანიშვილისა და კოალიცია **“ქართული ოცნების”** სახით.

დაიწყო სამართლიანობის აღდგენა! სააკაშვილს დაპატიმრება არ ეშუქრება, რადგან იგი ფსიქიკურად არის ავად. მაგრამ, რაც შეეხება მერამიშვილს, მამაშვილ გაბაშვილებს, ბარამიძეს, ხაჩიძეს და მათნაირებს, ერთი სული ექნებათ, აქაურობას გაეცალონ, რადგან ისინი სააკაშვილის დიქტატორული პოლიტიკის **“შემფუთვლეები”** იყვნენ. თმა ყალყზე დავიდებოდა, ციხიდან გამოსულ ადამიანებთან ერთი საათიც რომ გაატაროთ. ან წუმად ერთი და არაფერს ჰყვებიან, ან ისეთებს ჰყვებიან, სისხლი გაეკეციებათ. ერთ ოთახში 18 ტიტველი კაცის ჩაქეცვა და ათასი საზიზღრობა... ამათთვის რომ ეკითხათ, ევროსტანდარტების დონის ციხეები ჰქონდათ.

ამრიგად, **“ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”** არის დანაშაულებრივი ორგანიზაცია, რომელიც ოფიციალურად უნდა აიკრძალოს, მისი მესვეურები კი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში უნდა მიეცნენ.

როლანდ ჯალაღანიძე, “ფაზისი“-ს და “აია“-ს აკადემიების წევრი

„ჩინელებზე 1 ლარად გადაცემული საქართველო“

როგორც საქინფორმის ერთ-ერთი მკითხველი ატყობინებს, თბილისის მერიამ ერთ-ერთ ჩინურ კომპანიას თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე 420 ჰა მიწის ფართობი 1 ლარად გადასცა.

„ჩინელებზე 1 ლარად გადაცემული საქართველო“ – ასე მოიხსენიებს მკითხველი „პროექტს“ და განაგრძობს: „თბილისში მალე ჩინური დასახლება აშენდება. ამ ტერიტორიაზე კომპანიას სპორტული კომპლექსისა და ჩინური ქალაქის გაშენება აქვს გადაწყვეტილი. ეს ფაქტი შემაფოთლებელი შესაძლოა, არც ყოფილიყო, რომ არა ის უცნაური პირობები, რაზეც ქართული მხარე ჩინურ კომპანიას დათანხმდა. თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე 1 კვ მეტრი მიწის ფართობი 25-50 დოლარამდე მერყეობს, მერიამ კი ეს ტერიტორიები სულ რაღაც 1 ლარად გადასცეს. თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე ამხელა ფართობის 1 ლარად გადაცემას რა მოტივი ჰქონდა, ამაზე დედაქალაქის ხელმძღვანელობას პასუხის გაცემა მოუწევს ახალი ხელისუფლების წინაშე, რომელსაც წინამორბედისგან არაერთი პრობლემა და თავსატეხი დახვდა. ზოგმა პრობლემამ თავი უკვე აღარ დამალა და ახალ ხელისუფლებას ბევრი ფიქრი უწევს ძველების შეცდომების გამოსწორებაზე“.

მედიით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ამ „პროექტის“ ფარგლებში საქართველოში 125 ათასი ჩინელის ჩამოსახლება იგეგმება. „იმავე ჩინელების თემა საქართველოში ბოლო დროს საკმაოდ აქტუალური გახდა. საზოგადოება მათ მომრავლებას ჩვენს ქვეყანაში, ცოტა არ იყოს, შიშის თვალთ უყურებს.“

პირველი ჩინელი კი, რომელიც საქართველოში გამოჩნდა, სულაც არ იყო საზოგადოებისთვის საშიში – ის კი არა და, დიდი სარგებლობაც კი მოჰქონდა ჩვენი ქვეყნისათვის. ეს იყო ლაუ-ჟენ-მაუ, რომელმაც ჩაის პირველი პლანტაცია გააშენა საქართველოში“, – აღნიშნავს მკითხველი.

იგი ზემოაღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით ყველას სთხოვს დაფიქრებას და ხმის მიწოდებას ხელისუფლებისთვის, რომ შეწყდეს უცხოელთა ჩამოსახლება და მათთვის მიწის მიყიდვა, და საჭიროდ მიიწვევს ამ მხრივ საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგებას.

“შესასწავლია რამდენად კანონიერად დაედო ბრიფი „საიდუმლო“ უშიშროების ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს”

როგორც საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა განაცხადა, ქვეყნის უშიშროების საბჭოს ბიუჯეტიდან საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვაზე 16 მილიონი ლარია დახარჯული, თუმცა მისივე თქმით, ამ ხარჯებს, სავსებით გაუგებარი მიზეზების გამო, გრიფი „საიდუმლო“ ადევს, ამიტომ მისი გამოქვეყნება ჯერჯერობით ვერ ხერხდება. შეგახსენებთ, რომ უშიშროების საბჭოს 2012 წლის ბიუჯეტი 24 მილიონს შეადგენდა, როგორც ფინანსთა მინისტრი აცხადებს, 2013 წელს ეს თანხა მილიონ რვაასი ათას ლარამდე შემცირდება. ხადურის განცხადებას მოჰყვა პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის კომენტარი. მან გამოთქვა ეჭვი, რომ ეს 16 მილიონი ლარი გიგა ბოკერიას უწყებამ უცხოურ პრესაში „გამოქვეყნებულ პასკვილებზე“ დახარჯა.

„მიხელო სააკაშვილი ყოველნაირად ცდილობს, არასწორი ინფორმაცია გაიტანოს საზღვარგარეთ. გიგა ბოკერიას სამსახურს ბიუჯეტიდან 16 000 000 ლარი აქვს დახარჯული, თუმცა ამ ინფორმაციის „გახსნა“ ვერ მოვახერხეთ, მას გრიფი „საიდუმლო“ ადევს. ინფორმაცია გამოითხოვა ფინანსთა მინისტრმა ბატონმა ნოდარ ხადურმა, თუმცა მასაც არ აძლევენ. ვფიქრობ, რომ უახლოეს დღეებში შეგძლებოდა სიმართლის დადგენას, თუმცა დიდი ეჭვი გვაქვს, რომ ბიუჯეტიდან ამ თანხებით ფინანსდებოდა პასკვილები, რაც უცხოურ პრესაში იბეჭდებოდა“, – განუცხადა ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტებს „ვაშინგტონ პოსტში“ გამოქვეყნებული სტატიის, სახელწოდებით – „საქართველოს მთავრობა არასწორ გზას დაადგა“, კომენტარისას. მოგეხსენებათ, ბოლო ხანს დასავლური პრესა საქართველოს ახალ ხელისუფლებას არ წყალობს და მას განსაკუთრებით ბოლო ხანს გახშირებული დაპატიმრებების გამო აკრიტიკებს. დასავლურ პრესაში ამას ძველი ხელისუფლების წარმომადგენელთა პოლიტიკურ დევნად აფასებენ. ამის თაობაზე ბიძინა

ივანიშვილმა განცხადა: „ჩვენ ვიწყებთ სამართლიანობის აღდგენას. დაკავებულების პროცესი მალე ჩამთავრდება და ჩვენ მოვახერხებთ, საერთაშორისო მედიასაც გავაცნოთ მათი რეალური სახე. არ ვიმოქმედებთ იმის მიხედვით, თუ რა იჭერება საზღვარგარეთ. ჩვენ ვართ საქართველოს მთავრობა და ძალიან კარგად ვფლობთ სიტუაციას. ვიცით, რაც ხდება ქვეყანაში“. ცნობილი, რომ ბოლო წლების განმავლობაში ბიუჯეტის მნიშვნელოვანი თანხები იხარჯებოდა იმ საკონსულტაციო ჯგუფებსა და ლობისტურ კომპანიებზე, რომლებიც, სააკაშვილის ხელისუფლების განმარტებით, ქვეყნის იმიჯზე მუშაობდნენ, თუმცა არსებობდა ეჭვი, რომ ეს დაქირავებული ჯგუფები ძირითადად „ნაციონალური მოძრაობის“ პიარით იყვნენ დაკავებული. ასევე მუდმივად უცნობი რჩებოდა ის წყაროები, თუ რა გზით ხდებოდა ამგვარ მომსახურებაში ანგარიშსწორება. ჩვენ ვცადეთ კომენტარი მოგვეპოვებინა საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებისგან, თუმცა მათ ნაწილს ან გათიშული ჰქონდა ტელეფონი, ან არ პასუხობდა ჩვენს ზარს. მხოლოდ პავლე კუბლაშვილმა და პეტრე ცისკარიშვილმა გვიპასუხეს, თუმცა ორივემ უარი თქვა ამ საკითხის კომენტარებაზე. პავლე კუბლაშვილმა გვირჩია, ვინმე სხვა გვეჩვენა ამ საკითხზე ინფორმაცია, ხოლო პეტრე ცისკარიშვილმა ჯერ გვითხრა, რომ არ აპირებდა ზღაპრების კომენტარებას, მერე კი გვირჩია, დაველოდებოდით „ნაციონალური მოძრაობის“ ოფიციალურ განცხადებას.

რამდენად გამართლებულია, ქვეყნის უშიშროების საბჭოს ბიუჯეტიდან ფინანსდებოდეს საკონსულტაციო მომსახურების თანხები, გვესაუბრება ექსპერტი პაპა პახიშვილი:

– უპირველესად შესასწავლია, რამდენად კანონიერად დაედო გრიფი „საიდუმლო“ უშიშროების ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს. ამგვარი გრიფის დადება არ არის კონკრეტულად ვინმეს სურვილზე დამოკიდებული. ამას არეგულირებს

საქართველოს კანონმდებლობა, არსებობს სპეციალური კანონი, რომელიც არეგულირებს როგორც გრიფების კლასიფიკაციას, ისე დადების პირობებს. ამიტომ ესეც არის შესასწავლი. თუ გაირკვევა, რომ არასწორად არის გრიფი გამოყენებული, აუცილებლად უნდა დადგეს იმ ხალხის პასუხისმგებლობა, ვინც ეს გადაწყვეტილება მიიღო. მეორე საკითხია უშიშროების საბჭოს ბიუჯეტის ხარჯვა, ესეც შესასწავლია თანამდებობრივ სფეროებში მისი დამატების გათვალისწინებით და აქაც თუ აღმოჩნდა დარღვევა, მაშინ უკვე სისხლის სამართლის დანაშაულთან გვექნება საქმე. რაც შეეხება საკონსულტაციო მომსახურებას და ლობისტურ კომპანიებთან დადებულ ხელშეკრულებებს, სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში ეს ძირითადად გასაიდუმლოებული იყო. არადა, ცივილიზებულ მსოფლიოში ყველა კარგა ხანია მისვდა, რომ ლობისტისა და კორუფციის შორის ძალიან ვიწრო ზღვარია, ამიტომაც, მაგალითად, ამერიკის შერთებულ შტატებში უკიდურესად გამკაცრდა ლობისტური საქმიანობის თაობაზე კანონმდებლობა. იქ ყველა კომპანია, ვინც ამგვარ საქმიანობას ეწევა, ვალდებულია, გამჭვირვალედ აწარმოოს ეს საქმე. ყველა ხელშეკრულება საჯაროა. გარდა ამისა, დამკვეთსა და შემსრულებელს შორის საქმიანი საუბრებიც კი აღწუსებული და ვაგზავნილი უნდა იყოს შესაბამის სამსახურში. ეს ჩვენთან ხდება, რომ ლობისტური საქმიანობის მუხლები საერთოდ დაფარული იყო. საზოგადოებამ არ იცის, რაში იხარჯება მის მიერ ბიუჯეტში შეტანილი ფული. ერთი მხრივ, თითქოს ეს ლობისტური მომსახურება ქვეყნის ინტერესიდან გამომდინარე უნდა ხორციელდებოდეს, მაგრამ არსებობდა სერიოზული ეჭვი, რომ იგი ერთი პოლიტიკური სუბიექტის ინტერესს ემსახურებოდა. ეს არის ძალიან მრავალმხრივი პრობლემა, რომელიც სამართალდამცავთა მხრიდან სერიოზულ შესწავლას საჭიროებს.

ნ. დოლიძე

IRI : 63% – „ქართულ ოცნებას“, 13% – „ნაციონალურ მოძრაობას“, 83% – რუსეთთან დიალოგს

საქართველოს მოსახლეობის განწყობების შესწავლის მიზნით ჩატარებული უკანასკნელი კვლევის შედეგები საერთაშორისო რესპუბლიკურმა ინსტიტუტმა (IRI) პოლიტიკური პარტიების ნაწილს უკვე გააცნო.

ეს ის „ცნობილი“ და „ობიექტურობით გამოჩენილი“ კვლევითი ინსტიტუტი გახლავთ, რომელიც ჯერ კიდევ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე ცდილობდა კატასტროფულად დაეგდო „ქართული ოცნების“ პოლიტიკური რეიტინგი და მას ბევრად უფრო ნაკლებ ქალებს უწერდა, ვიდრე იმ „ქრისტიან-დემოკრატებს“, რომელთაც 5-პროცენტის ბარიერის გადალახვაც კი ვერ შეხდებოდა. მაგრამ, როგორც ჩანს, აღნიშნულმა რესპუბლიკურმა ინსტიტუტმა მაინც გადაწყვიტა, უნდაც ერთხელ, სიმართლისათვის თვალეში ჩახედვა და ამჯერად მეტნაკლებად ობიექტური ციფრები გამოაქვეყნა.

ზემოთხსენიებულ პოლიტიკურ კვლევაში მოხვედრილი პრობლემური საკითხები, რომლებიც მოსახლეობას აწუხებს, უცვლელია: ვითარდება თუ არა საქართველოში ეკონომიკა, როგორია საზოგადოების განწყობა და რომელმა უწყებამ მოიპოვა ყველაზე მაღალი ნდობა ახალი ხელისუფლების პირობებში. გამოკითხვა ჩატარდა 9-21 ნოემბრის პერიოდში, გამოიკითხა 1500 რესპონდენტი.

რესპონდენტთა მიმართ დასმულ კითხვებს შორის სახელმწიფო ინსტიტუტებში ნდობის რეიტინგით ლიდერია ქართული ეკლესია (94%), რომლის მონაცე-

მები სტაბილურია და ოდნავადაც არ შეცვლილა, რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას რომ ახალი ხელისუფლება მოახერხებს, სჯერა 52 %-ს, რუსეთთან სამომავლო დიალოგს 83% მხარს უჭერს.

კითხვაზე – ხვალ რომ საპრეზიდენტო არჩევნები ტარდებოდეს, გამოკითხულთა 63% მხარს უჭერდა „ქართული ოცნების“ კანდიდატს დაუჭერდა.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი დავით სავანელიც ამბობს, რომ კოალიცია „ქართული ოცნების“ მაღალი რეიტინგი ხალხის „დიდი ნდობას ნიშნავს, რომ ძალიან ბევრი რამ გვაქვს განსაკუთრებული, რომ ნდობა გავაძარტოლოთ“.

თინა ხიდაშელი არ ენდობა კვლევის შედეგებს და აცხადებს, რომ, მისი აზრით, საქართველოში სოციოლოგიის კულტურა ძალიან მწირია. და სწორედ ეს არის შედეგი იმისა, რომ ერთ თვეში რადიკალურად იცვლება მონაცემები: „ეს შედეგები მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ პირველი ოქტომბრის საარჩევნო შედეგები არის ყალბი და გაცილებით უფრო მეტი ხმა უნდა ჰქონოდა „ქართულ ოცნებას“ იმ დღით, რომ ვერ მოეხერხებინა გაყალბება „ნაციონალურ მოძრაობას“, როგორც ეს მაინც მოახერხა“. ამდენად, მაშინვე ნათელი იყო, რომ ნაცები არჩევნების ძალადობის გზით გაყალბებისათვის ემზადებოდნენ, რაც დადასტურდა კიდევ ხაშურის საარჩევნო ოლქში მომხდარი ინციდენტით. მხოლოდ უცხოელ დამკვირვებელთა აქტიური ჩარევის შედეგად მოხერხდა ტოტალური გაყალბების თავიდან აცილება.

საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელი ლევან თარხნიშვილი ამბობს, რომ კვლევა ნოემბრის პირველ სამ კვირაში არის ჩატარებული და მასში პრემიერ-მინისტრის ბოლო გამოსვლები არ არის მოხვედრილი, სადაც მან ტარიფებისა და ფასების შესახებ ისაუბრა. თარხნიშვილის დასძენს, რომ კვლევა პოლიტიკურ რეიტინგებს შეიცავს, თუმცა პარტიას ტრადიციულად მხოლოდ მისი რეიტინგი მიეწოდება. „შეიძლება ითქვას, რომ მთლიან სურათს სანამ არ დაინახავთ, ამის შესახებ საუბარი ნაადრევია. თუმცა, უნდა ითქვას, რომ კვლევა რეალობას ასახავს. ალბათ, პრეზენტაცია იქნება და უპირაინი იქნება, რომ მონაცემები IRI-მ თავად გამოიტანოს“, – აღნიშნა თარხნიშვილმა.

სამძინფორმაციო



სხარტულები
გამომცემლობა „სამშობლოსა“
და სატელევიზიო რამე-რუმეზე

დაბრუნების მოლოდინი
გამოგერეკეს „სამშობლოდან“,
სიტყვის თქმა რომ დაგვიშალონ,
სიძულვილით ისევ ბოდავს
ხან მიშა, ხან სამიშაო.
ჩვენ ჩვენს დროშებს მაინც გავშლით
და სიტყვა არ გამრუდდება,
ოღონდ ვნატრობთ, პრეცედენსს სახლში
კვლავ გვედირსოს დაბრუნება.

ნეტა, რას ჩივის ჩიორა?
შევასხენებთ ჩიორასა,
ამაოა, ჩივის რასაც,
რადგან იმ და ამ ფიორის
სიცრუით და აფიორით
ვერ შეაძენს უკვე მასებს
ჭირვეულის სიკაპასე.

24 მილიონი
„ოცნებასთან“ „რუსთა-ფორი“
დღემდე ომობს ცხარე ტონით.
რა ქნას?
მიმე არის ტორი
24 მილიონის!!!

ნუბზარ წიკლაშრს
სულმნათისეული ვერდიქტი სატელე-
ვიზიო აბრუნდებთან დაკავშირებით
უკვე გრამებში წონიან,
ნუგზარ, რაშიც ხარ ნაცადი...
„კაცი არ ყველა სწორია,
დიდი ძეს კაცით კაცადის“.
მამა-შვილ ბაბაშვილებზე
გოკასა შიგან რაცა დგას,
კოტეგან წარმოდინდების!
სოროსთან თუ სოროსში?
ფიქრი, რომელიც დაბადა ბატონი სო-
როსის მოულოდნელმა სტუმრობამ
მიტომ გვესტუმრა სოროსი,
მიშა რომ შეძერეს სოროსი?

ალექსანდრე შენბელია

იპოვნება ოპოზიცია!



1990 წლიდან დღემდე ყველა მმართველი პარტია, რომლებიც ძალაუფლებას თმობდნენ ან კარგავდნენ, არსებობას წყვეტდა. კომუნისტურ პარტიას, რომელმაც **“მრგვალ მაგიდასთან”** არჩევნები წააგო, სულ მცირე ხნით მოუწია საპარლამენტო ოპოზიციის როლში ყოფნა. უხედავმა საბჭომ მის დეპუტატებს უფლებამოსილება შეუწყვიტა. ავთანდილ მარგიაძემ მაშინ ზვიად გამსახურდიას მიმართა: **“ბატონო ზვიად, ჩვენ კი წავალთ, მაგრამ თქვენ ვისთან დარჩებით?”**

წასვლა-დარჩენის თემა იმ დღიდან მეტად აქტუალური გახდა ქართულ პოლიტიკაში. პარლამენტს გარეთ დარტყვულმა კომპარტიამ თანდათან მარგინალიზება განიცადა და, მიუხედავად იმისა, რომ 1992 წლის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ საქართველოს სათავეში კვლავ რესპუბლიკის კე-ს-ს ყოფილი პირველი მდივანი ედუარდ შევარდნაძე ჩაუდგა, კომუნისტური რეჟანი არ შემდგარა. მართალია, ერთხანს ცდილობდნენ, ამ მოვლენისთვის **“ნომენკლატურული რეჟანი”** შეერქვათ, მაგრამ რეალურად ყოფილ ნომენკლატურას მხოლოდ პრივატიზაციისა და საბანკო კრედიტების სიკეთით სარგებლობის საშუალება მიეცა, ხოლო პოლიტიკური ძალაუფლების შემკვიდრებად ახალგაზრდა, ევროპულ და ზოგადად დასავლურ სტრუქტურებთან დამეგობრებული ზურაბ ჟვანია და მისი გუნდი იქნენ.

ეს გუნდი იმთავითვე შემტევ პოზიციებს იკავებს და ცდილობს, ზვიადნ ჩამოიშოროს პარტნომენკლატურის ის მცირედი ნაწილი, რომელიც ჯერ კიდევ ახლოს არის ძალაუფლების სადავეებთან. ახალი, საპარლამენტო დემოკრატიის დამკვიდრების მამად აღიარებული ზურაბ ჟვანია ოსტატურად ეუფლება პოლიტიკური ვაჭრობისა თუ გარიგებების რთულ ჩვენებას და ხშირად ფაქტის წინაშეც აყენებს, როგორც სახელმწიფოს მეთაურს, ისე საპარლამენტო უმრავლესობას. ამით აღშფოთებულმა გიგა ლორთქიფანიძემ იმჟამინდელი საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთ ხედვას შევარდნაძეს მიმართა: **“ფრთხილად იყავით, თორემ, როგორც შექსპირის მეფე ლირი, ყველაფერს დაკარგავთ”**.

რვა წლის შემდეგ მართლაც ასე მოხდებოდა ლირის სამი ქალიშვილის როლს ტრიუმფირატი – სააკაშვილი, ჟვანია და ბურჯანაძე შეასრულებენ. შევარდნაძეს არ აღმოაჩნდება მისი ერთგული შვილი – კორდელია, რომლის როლშიც იგი ზურაბ ჟვანიას ხელდავდა. უფრო სწორად, მასაც კორდელიას ბედი ხვდა და მისი უცვარი გარდაცვალების საკითხს ახლა ოქტომბრის არჩევნების შემდეგ მოსული **“ქართული ოცნება”** იძიებს.

შევარდნაძის **“მოქალაქეთა კავშირი”** 2003 წლის **“რევოლუციური”** არჩევნების შემდეგ წაიშალა ქართული პოლიტიკური ლანდშაფტიდან. ექვსპარტიული პარლამენტის გარეკვამ ახალ მმართველ ძალას – **“ერთიანი ნაციონალურ მოძრაობას”** ძალაუფლების სრული მონაპოვია მოაპოვებინა და **“ბურჯანაძე-დემოკრატები”** თანდათან შეიწოვა. ისინი, ვინც ახალი მოქალაქეობა არ მიიღო, სისტემაში გამოდევნა. ცხრაწლიანი მმართველობის შემდეგ **“ნაციონალურმა მოძრაობამ”** არჩევნები წააგო, მაგრამ ოპოზიციის 40-პროცენტის ნიშნად დაიკავა. 2003 წლისგან განსხვავებით, როდესაც იგივე პოლიტიკოსები იმჟამინდელი მმართველი პარტიის მიერ მიღებულ 21,28 პროცენტს აპროტესტებდნენ, მეტიმეტად იძლიერდა **“დამნაშავე პარტიის”** (როგორც ხშირად უწოდებენ **“ნაციონალურ მოძრაობას”**) 40 პროცენტს.

“ნაციონალური მოძრაობა” არ კმაყ-

ოფილდება საპარლამენტო ოპოზიციის როლით. იგი ხაზგასმით ცდილობს, შეინარჩუნოს ძალაუფლება ადგილებზე და მკვეთრად მიჯნავს, თუ რა ეკუთვნის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებულ ძალას და რა – საკუთრივ მას. ორხელისუფლებიანობა, რომელზეც მიხედვით სააკაშვილმაც ილაპარაკა ევროპაში მდელი ტრიბუნლიდან, რეალურად, ხოლო ოპოზიციის შიგნით პარტიის ლიდერი, რომელიც კიდევ ერთი წელი აპირებს საპრეზიდენტო პოსტზე ყოფნას, ძალას და ენერჯიას არ იშურებს ახალი მმართველი ძალის დისკრედიტაციისთვის.

დახეპირებული გზავნილები, რომელთაც ქართველი ამომრჩეველი დასავლეთის მდელი ემისიებისგან ისმენს, მისი მოთმინების გამოცდად იქცა. ის პირები, რომლებიც საზოგადოებისთვის ძალადობასთან და სისასტიკესთან არიან გათვითქულები, პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულებად ირაცხებიან. **“შერჩეული სამართალზე”** ლაპარაკობენ ნატოს, ევროსაბჭოს და შერეული შტატების წარმომადგენლები, რომელთაც შფოთი არ დაუფლებიათ ზუსტად ასეთი სამართლის ზეობისას უკანასკნელი ცხრა წლის განმავლობაში.

საზოგადოება ვერ ხსნის ასეთი თვალსაჩინო ორმაგი სტანდარტის მიზეზებს. არადა, ყველაფერი მარტივია. გუგის პირველი ნაწილი – გადარეცხილიყო ყველა, ორი პოლიტიკური ძალის გარდა, სანაქებოდ შესრულდა. **“შუა გაიკრიფა”**. დარჩა ორი, ნატოზე და ევროკავშირზე ცალსახად ორიენტირებული ძალა.

“ნაციონალური მოძრაობას” თითქოს პირთა მისცეს, რომ ძალაუფლების დროებით დათმობის ხარჯზე ოპოზიციის დარჩებოდნენ და პასუხი არ მოეთხოვებოდათ. ხალხი სამართალს ითხოვს, მაგრამ ეს სულაც არ შეეძლოს დასავლეთის ინტერესებში. **“პირველად საქართველოს ისტორიაში”**, როგორც სააკაშვილს უყვარს თქმა, ყოფილი მმართველი პარტია კვლავაც პოლიტიკურ არენაზე უნდა დარჩეს.

ამ ხელოვნური ორპარტიული სისტემის ხიბლი მისი მონაწილეებისა და დასავლეთის ინტერესებშია. ან ერთი იქნება, ან მეორე. ორივენი კი სწორედ დასავლეთისკენ იყურებიან! არ უნდა იყოს სხვა ოპოზიცია, რომელიც პრინციპულად განსხვავებულ თვალსაზრისს ატარებს. ისტორიის მოუსაველეთში გატყუებული ყველა სხვა მმართველი პარტიისგან განსხვავებით, **“ნაციონალური მოძრაობა”** ისევე აქ უნდა იყოს, ამჟამად სათადარიგო სკამზე. მიუხედავად ბევრი მცდელობისა, მორიგის ოპოზიციის მანტი, იგი კვლავაც მმართველი ძალის პრეტენზიითა და რიხით სთხოვს პასუხს **“ქართულ ოცნებას”** იმაზე, თუ რატომ ვერ გადაწყვიტა ცხრა წლის განმავლობაში მის მიერვე შექმნილი პრობლემები ორ თვეში! **“ოცნება”** კი ხელოვნურად არის ჩაყენებული თავის მართლების პოზიციაში, პოლიტიკაში კი თავის მართლებას უმადურად საქმეა; რაც მეტს იმართლებს თავს, მით მეტად რწმუნდება მავანი, რომ რაღაც დააშავა.

როდესაც კოალიცია **“ქართული ოცნება”** იქმნებოდა, თვალნათლივ გამოჩნდა, რომ საკუთრივ ბიძინა ივანიშვილის პარტიის შემქმნა სულაც არ წარმოადგენდა კოალიციაში შემავალი პარტიების ინტერესს. ეს პოლიტიკა: შიდა კონკურენციის კანონი მოქმედებს და პოლიტიკურ სუბიექტებს ნებისმიერ კოალიციაში საკუთარი გავლენის შენარჩუნება ურჩევნიათ. არადა, პარტიული სტრუქტურების გარეშე ადგილებზე სიტუაციის კონტროლი შეუძლებელია, მით უფრო იმ ვითარებაში, როდესაც ჯერაც ნახევრად ხელისუფლებაში მყოფი **“ნაციონალური მოძრაობა”** გააფთრებით იბრძვის ადგილობრივ დონეზე ძალაუფლების შენარჩუნებისთვის და, შესაბამისად, 2014 წლის არჩევნებში გამარჯვებისთვის.

დღეს, როგორც არასდროს, საქართველოში ოპოზიცია, ნამდვილი, ჯანსაღი ოპოზიციაა აუცილებელი. ამ ფუნქციას **“ნაციონალური მოძრაობა”** ვერ და არ შეასრულებს. კაცმა რომ თქვას, თვითმთავარი ქვეყანაში მას ამის უფლებას არც მისცემდნენ!

ორი, თითქმის ერთი იდეოლოგიის ძალის დაპირისპირება ქვეყნისთვის არაფრის მომტანია. მათი მთავარი საპროგრამო დე-

ბულებები ერთმანეთისგან არ განსხვავდება. ორივენი ნატოს ეტრფიან, ორივენი ევროკავშირის დროშებს აფრიალებენ, ორივე ლიბერალური დემოკრატიის ხიბლშია, მეტნაკლები ლიბერტარიანელობით.

ამ იდეოლოგიურ ველზე კი უპირატესობა სწორედ **“ნაციონალობას”** აქვს. პირდაპირი წილების განმავლობაში მარტინორებიც გაიხინა დასავლეთში და ლობისტებიც შეიძინა. დასავლეთში **“ოცნების”** დისკრედიტაციისთვის დაქირავებული **“მეგობრები”** მთელი არმია მუშაობს. საქმე იქამდე მივიდა, რომ უფლებადამცველი, ადვოკატი და აწ უკვე პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე პირდაპირ დაადანაშაულეს შეუწყნარებლობაში.

ქვეყნის შიგნით ასეთივე **“მუშაობა”** განაღებულა; წინასწარჩვენო დაპირება ტარიფების შემცირების შესახებ ივანიშვილს საბოლოო გაუხდა. არადა, ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებული ჯგუფის ხელმძღვანელი დემურ გიორსელიძე პირდაპირ ამბობს, რომ კვალიფიციური ენერგეტიკოსების გაანგარიშებით, ელექტროენერჯის ტარიფი 10 თეთრის ფარგლებში უნდა იყოს:

“სამწუხაროდ, ახალ ხელისუფლებაშიც განხდა ხალხი, რომელთაც მექათა ფულის ხელიდან გაშვება არ უნდათ და ამიტომ პრემიერ-მინისტრს მიაწოდეს ინფორმაცია, თითქოს ტარიფების მნიშვნელოვნად შემცირება არ შეიძლება”.

“ნაციონალების” ტაქტიკის ამოცნობას გულთმისნობა არ სჭირდება. ისინი წინსწრებით საუბრობენ **“შეუსრულებელ დაპირებებზე”**. თუ არც სამართლიანობა აღდგება და არც საგადასახადო კაბალისგან ხალხის განთავისუფლება მოხერხდება, რისი მომტანია ხელისუფლების ცვლილება? შემდეგი ეტაპი ამომრჩეველის სრული ნიპოლემია, რომლის პირობებშიც ორად გაყოფილი პოლიტიკური სპექტრი მორიგეობით ჩაიბარებს ძალაუფლებას და, დასავლეთის გასახარად, **“სტაბილურობის ოაზისს”** შექმნის. მერე რა, რომ ამ ოაზისში პლასტმასის პალმები დგას! მთავარი ის არის, რომ **“სტრატეგიულ პარტნიორებს”** საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესების განხორციელების სრული კარტლანში ექნებათ, ქართველი ამომრჩეველი კი კვლავაც იმის მოლოდინში იქნება, თუ როდის გაიყიდება მანკეტენზე ქართული აჯიკა.

იძებნება ოპოზიცია!

იგი ჰაერით სჭირდება ქართულ სახელმწიფოებრიობას, მის მომავალს, მის ეროვნულ ინტერესებს. იძებნება ოპოზიცია, რომელსაც უყვარს საქართველო მინდორველით, მთა-გორით, ტყით, ვენახით, სათესივთ; წარსულის ისტორიით, მომავალი სუბიექტით; მშვენიერი ენით; ნაქარგი ფარნახავრდით; ვაჟკაცური ხასიათით, სტუ-მართოყვარეობით; სუფთა ჰაერით; ნამა-აგვეი სახლით და კარით; ჩუქურთმისანი მონასტრებით და ეკლესიებით; მსქეფარე ნაკადულებით; ლურჯი ზღვით; ერთი, ბერთ; ვერცხლისფერ თმით შემოსილ პატეხსადელი მოხუცებით. დედი და მამით, შვილით და ძირით, მით, დით, ცოლით და ნათესა-მომყვრებით.

იძებნება ოპოზიცია, რომელსაც უყვარს საქართველო ერთიანად: შავი ზღვიდან კასპის ზღვამდე და ოსეთიდან სპარსეთამდე; იძებნება ოპოზიცია, რომელსაც საკუთარ თავზე მეტად სამშობლო ეყვარება და რომელიც საქართველოს სიყვარულისთვის ბოღიშს არ მოიხდის.

ნანა დემურაძანი

გაზეთ “ილორის” კომენტარი: ჩვენ უკვე კარგად დავინახეთ ე.წ. მარგინალური ოპოზიცია, რომლის წარმომადგენლებიც (არ მინდა ვინმე დავამცირო, მაგრამ სამართლის უთქმელობაც არ ვგობს) მუხლამდეც კი ვერ სწვებოდნენ **“ნაცებს”** და, მრავალ გარემოებათა გამო, იძულებული იყვნენ მათ დაკრულზე ეცეკვათ. ხალხის დასახარად და გასაგონად კი, ვითომ წინააღმდეგობას უწევდნენ ყაჩაღად ქვეულ მმართველ ძალას. საკმარისია გავისხენოთ გიორგი თარგამაძე, რომელმაც სააკაშვილის ხროვის მიერ ტელეკომპანია **“იმედი”** მორღიორულად დასაკუთრების შემდეგ შე-

ქმნა პოლიტიკური პარტია **“ქრისტიან-დემოკრატები”** და პირველივე საპარლამენტო არჩევნებში **“დამაჯერებლად გადალახა”** 5-პროცენტის ბარიერი. მაშინაც კი არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ ნაცებმა გიორგი თარგამაძე დაასაჩუქრეს ბადრი პატარკაციშვილისადმი დაუფარავად ღალატის სანაცვლოდ და ოფიციალურად **გააფთრეს** ოპოზიციად, სინამდვილეში კი გიორგი თარგამაძე და მისი პარტიული შლეიფი ნაცების სწორედაც რომ სატელიტი ძალა იყო და **“ქრისტიან-დემოკრატებიც”** მათ დაკრულზე ცეკვავდნენ.

მოკლედ, სააკაშვილსა და მის ხროვას, როგორც იტყვიან, პოლიტიკურ სფეროში ყველაფერი დალაგებული ჰქონდათ და წინასწარ იყვნენ მოლაპარაკებული პოლიტიკურ ოპონენტებთან – ვის რამდენ პროცენტს უბოძებდნენ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში.

შემდეგ მოვიდა ნამდვილი ოპოზიცია **“ქართული ოცნების”** სახით და ნაცებს ყველაფერი ყირაზე დაუდგათ. დაბნეულ-გაბორბლებული ნაცები და მათი შეურაცხადი **“ბელადი”** სააკაშვილი, წინასწარჩვენოდ, მართლაც დაუჯერებელ პოლიტიკურ ინსინუაციებზე წავიდნენ, როცა მათ მიერ მოქრთამულ **“NDP”**-ს ღორისთვალემა შეფს ლუის ნავაროს ჩატარებინეს ელექტორალური წინასწარჩვენო გამოკითხვები, რომლის თანახმად მიხედვით სააკაშვილს ლამის 70-პროცენტისანი რეიტინგი ჰქონდა, გიორგი თარგამაძეს – 18 პროცენტი, ბიძინა ივანიშვილი კი მხოლოდ 12 პროცენტი.

მაგრამ, ვერც სიცრუის მანქანამ უშველა ყველასაგან მოძულებულ ნაცებს – ივანიშვილის კოალიციამ დაამარცხა წინააღმდეგობას შეუჩვენელი **“ნაციონალური მოძრაობა”**. დღეს კი სწორედ ეს ნაცები არიან ოპოზიციის, მაგრამ ჯანსაღი იდეური და პოლიტიკური ოპონირების ნაცვლად აშკარა საბოტაჟს მწვეიან და უცხოეთის ქურნალ-გაზეთები აკლებული აქვთ – აქაოდა, ახალი პოლიტიკური საპარლამენტო უმრავლესობა დაუმსახურებლად გენგარავსო.

გამოდის, რომ საქართველოს არ გააჩნია ოპონირების კულტურა და ოპოზიციის დღეობა ან პოზიციისადმი კატეგორიულ შეურიგებლობას და, ხშირად, ტყვიის სროლასაც ნიშნავს.

საქართველოში შექმნილია აბსურდული სიტუაცია, ნაცების მიერ კონსტიტუციის არაერთგზის გაუპატიურებისა და სახელმწიფო მოწყობის ინსტიტუტების დამახინჯების გამოისობით – ქვეყანაში ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ სწრაფი ტემპებით მკვიდრდება დემოკრატია, მაგრამ მას არ გააჩნია დემოკრატიისთვის მთავარი პარამეტრი – პოლიტიკური ოპოზიცია.

დაიხ, ქვეყანას ის ნამდვილი ოპოზიცია სჭირდება, რომელიც ხელისუფლებასთან ერთად იბრუნებს სამშობლოს კეთილდღეობისათვის, ხოლო თუ მათ შორის რაიმე იდეური განსხვავება განხდება, ისინი ამას გადაწყვეტენ ქვეყნის შიგნით და არა უცხოურ პრესაში პასქილების განმოქვეყნებით.

როგორც უკვე ვთქვით, სამწუხროდ, ამგვარი ოპოზიციური ძალა, ჯერ შევარდნაძის, შემდეგ კი სააკაშვილის მიერ დანერგვის მახინჯი პოლიტიკური სისტემის გამოისობით, დღეს ქვეყანაში არ არსებობს, მისი ჩამოყალიბება კი ჰაერით აუცილებელია, რადგან მდღე ახალი არჩევნები მოგვადგება კარს და ჩვენი პოლიტიკური კულტურის ჩამორჩენილობის ნიშანი იქნება ის, თუ **“ქართული ოცნებას”** დირსეული პოლიტიკური კონკურენტი არ გამოუჩნდება და ოპოზიციური ძალის მოძებნა კვლავ საზღვარგარეთის ქვეყნებში მოგვიწევს. ისიც გასათვალისწინებელია, თუ ვის დარჩება ქართული სახელმწიფოს მართვის სადავეები, მას შემდეგ, როცა ბატონი ბიძინა ივანიშვილი გადაწყვეტს დიდი პოლიტიკიდან წასვლას!

ასე რომ, მომავლის ხედვა და დღევანდელი, არც თუ მარტივი სიტუაცია მოითხოვს რეალური ოპოზიციური ძალის გამოჩენას ჩვენს პოლიტიკურ არენაზე!

ვინ გადასცა პანო მერაბიშვილს ყალბი პასპორტი



ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ამჟამად «ნაციონალური მოძრაობის» გენერალური მდივნის, ვანო მერაბიშვილის მიერ ყალბი დოკუმენტის გამოყენებით სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობის გამო გამოძიება დაიწყო. ყოფილი პრემიერ-მინისტრი შსს-ში დაკითხვაზე იმყოფებოდა. თუმცა, სამინისტროს განცხადებით, მან გამოძიებასთან პრაქტიკულად არ ითანამშრომლა. შსს-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მერაბიშვილი ყალბი

პასპორტის გამოყენებით ქვეყნის დატოვებას 30 ნოემბრის ღამეს შეეცადა, როცა აეროპორტიდან სახელმწიფო დელეგაციასთან ერთად ერევანში მიემგზავრებოდა... საპასპორტო კონტროლის გავლის შემდეგ მესაზღვრე ვაჟა დოლაძემ აღმოაჩინა, რომ ვანო მერაბიშვილი ქვეყნის დატოვებას ვინმე ლევან მაისურაძის სახელით გვერთხვინა. ჟურნალისტები დაუკავშირდა «ქართული ოცნების» ახალგაზრდული ფრთის წევრი ლაშა მესხია, რომელიც ამ სკანდალური საქმის უცნობ დეტალებზე გვესაუბრება:

– ყალბი პასპორტი საჯარო რეესტრის თავმჯდომარე გიორგი ვაშაძემ გასცა 2011 წლის 25 აგვისტოს. მერაბიშვილის ყალბი დოკუმენტი სახელმწიფო სერვისების სააგენტოს მოქალაქეობისა და მიგრაციის სამმართველოს მთავარმა სპეციალისტმა გიორგი ებიტაშვილმა გადასცა. იმხანად სამმართველოს ლევან სამადაშვილი კურატორობდა და მისი პასუხისმგებლობის საკითხიც უნდა დადგეს. როდესაც სპეციალურ სამსახურს ესა თუ ის დოკუმენტი სჭირდება, მას სწორედ ებიტაშვილი ემსახურება. სწორედ ის ასრულებს შინაგან საქმეთა სამინისტროს დავალებებს. ასეთი დოკუმენტის გაცემის ორი გზა არსებობს, ერთი – როდესაც მოქალაქე იცვლის სახელს და გვარს, ხოლო პირადი ნომრისა და დაბადების თარიღის შეცვლა დაუშვებელია და მეორე – როდესაც ხორციელდება მოწმის დაცვის სახელმწიფო პროგრამა

და ამისათვის საჭიროა მთავარი პროკურორის თანხმობა. ივანე მერაბიშვილის შემთხვევაში საქმე გვაქვს პირდაპირ გაყალბებასთან და ეს სისხლის სამართლის დანაშაულია.

– გიორგი ებიტაშვილი დღესაც რჩება რეესტრის თანამშრომლად?

– დიახ, ის დღესაც მუშაობს სამოქალაქო რეესტრში მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე. მან შეასრულა გიორგი ვაშაძის უკანონო ბრძანება, ამიტომ გამოძიება უნდა დაინტერესდეს ვაშაძის ბრალეულობის საკითხითაც. გიორგი ვაშაძის ბრძანებით, როდესაც ივანე მერაბიშვილზე გაიცა ყალბი პასპორტი, საარქივო მასალები განადგურებული იქნა. ამიტომ საქმე თუ აღიფრება ამ დანაშაულზე, მოწმეების ჩვენებებს ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა.

– თქვენ საიდან გაქვთ ეს ინფორმაცია?

– ორი წლის განმავლობაში ვმუშაობდი სამოქალაქო რეესტრში და დღემდე მაქვს კონტაქტი იმ ადამიანებთან, ვინც ამ სისტემაში პატიოსნად მუშაობს. სწორედ მათგან მივიღე ეს ინფორმაცია. მხოლოდ ივანე მერაბიშვილზე არ არის გაცემული ყალბი პასპორტი. როგორც რეესტრის თანამშრომლებმა მიხერხეს, წინასწარ ჩვენს პერიოდში ყალბი პასპორტები გაიცა ერეკლე კოდუას, ვანო მერაბიშვილის ყოფილ მოადგილე ამირან მესხელისა და იუსტიციის ყოფილ მინისტრ ზურაბ

ადეიშვილის სახელზე. ადეიშვილმა ოთხი ყალბი პასპორტი გაიმზადა სხვადასხვა გვარით და მათი მეშვეობით გადაადგილდებოდა. ჩემთვის ცნობილია, რომ ადეიშვილი ამჟამად კუბაში იმყოფება, რადგან ფიქრობს, რომ ყველაზე დაცული სწორედ იქ იქნება.

– ვანო მერაბიშვილის ყალბ დოკუმენტს მინიჭებული აქვს პირადი ნომერი 01424099048 (დაბადების თარიღი: 12.02.1970), ამ მონაცემებით საარქივო სიაში მართლაც არის დარეგისტრირებული ვინმე ლევან მაისურაძე, რომელიც ცხოვრობს ვაჟა-ფშაველას გამზირის 14 ნომერში, ბინა 182 (მისი საარქივო უბანი მდებარეობდა სამედიცინო უნივერსიტეტის მე-2 კორპუსში). აღნიშნულ მისამართზე მისვლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ იქ მხოლოდ ანა მაისურაძე ცხოვრობს, რომელიც შინ არ დაგვხვდა. მეზობლები ლევან მაისურაძეს არ იცნობენ და ამბობენ, რომ მათ ასეთი მეზობელი არ ჰყავთ.

– არ გამოვიცხავ, რომ ამ მონაცემებით მართლაც იყოს ვინმე რეგისტრირებული საარქივო სიაში, მოგესხნებათ არარსებულ მისამართებზე არარსებულ ადამიანებს წერდნენ. სამოქალაქო რეესტრის ახალი პროგრამა ძალიან დახვეწილია და ორჯერ ერთი და იმავე პირადი ნომრის განთავსება მონაცემთა ბაზაში შეუძლებელია, რადგან სისტემა არ იძლევა ამის საშუალებას.

თ. გოჭორიშვილი

ზაზა ბაბუაშვილი: «ნაციონალური მოძრაობის» ბალტირიალური უმჯობესება

გაზეთი «საქართველო და მსოფლიოს» ზაზა ბაბუაშვილი მოსკოვიდან დაუკავშირდა. უკვე 21 წელია, ბატონი ზაზა საქართველოში არ ყოფილა. მან დეტალურად გვიამბო, თუ რა ხდებოდა 90-იანი წლების დასაწყისის ზუგდიდში.

– ეროვნული მოძრაობიდან ვარ. 89-ში ციხეშიც ვიჯექი. ცხონებულმა ზვიადმა გამომიშვა. 21 წელია, საქართველოში არ ვყოფილვარ. საქართველოდან რომ წამოვივდი, რამდენიმე თვე ჩენეთში ვიყავი, ჩენეთიდან კი მოსკოვში წამოვივდი. კიროკი ბუღიას ზუგდიდში ყველა იცნობდა, ის ძალიან კარგი კაცი იყო. «მხედრონის» მიერ მის ჩაცხრილვას კოტე გაბაშვილი პირადად ესწრებოდა. იქ ბევრი ადამიანი ჩაცხრილეს. კიროკი შემთხვევით შეეფეთა მხედრონელებს. ვინ ხარო, რომ ჰკითხეს, არ დაუმაღავს, – კიროკი ვარ ბუღიას, და ზუსტად შენ გეკებდითო. რომ მიხვდა, ვისთანაც ჰქონდა საქმე, «ვაშაშვილის ზვიად გამსახურდიასო», – თქვა კიროკმა და ვერევე ჩაცხრილეს. ამას გარდა, მას ბუღიასი ამოაჭრეს ჯერ კიდევ ცოცხალს. დიდი ხნის მანძილზე ოჯახს ცხედარსაც არ აძლევდნენ. ამ ყველაფერს გაბაშვილი და სააკაშვილის მეგობრები ესწრებოდნენ.

ყარყარაშვილის ხალხი ჩემს სახლს დაესხა თავს და მამანქმაც გადასხეს და ჩემი დაც, რომელიც მაშინ ფეხმძიმედ იყო. მე ტყეში ვიყავი და ღამით გავიგე, რომ ასეთი ამბავი მოხდა.

– ანუ გაბაშვილს თავისი ხელით არ ჩაუცხრილავს ხალხი?

– გაბაშვილის თანდასწრებით გაკეთდა ეს ყველაფერი და მას არც ერთხელ არ შეუშლია ხელი, არ უკითხავს, ამას რატომ აკეთებთო. პუტჩისტს რა უნდა პარლამენტში?!

– გაბაშვილს იქ რაიმე სახის წონა ჰქონდა და შეეძლო გაეჩერებინა ეს ხალხი?

– შეეძლო გაეპროტესტებინა, თუნდაც ფორმალურად ეთქვა: რას აკეთებთ, რატომ ხოცავთ ხალხსო! სამეგრელოში ისეთი რაღაცები აქვთ ამათ ჩადენილი, მე არსად მინახავს. ყარყარაშვილი დღეს რომ ამბობს, სამეგრელოში არავინ მომიკლავსო, ტყუილია! გადაწვეს ზუგდიდი მაგანაც და ხანიშვილმაც, რომელიც მინისტრი იყო ჯაბას დროს.

– რამდენადაც ვიცო, დოდო გუგუშაშვილის მიმართაც ისმის გარკვეული ბრალდებები...

– დოდო გუგუშაშვილმა მამაკაცს ფეხი ნაჯახით მოკვეთა. ერთ ახალგაზრდა გოგონას ხელზე კუნთოვანი ქსოვილი აათავა. მას ზუგდიდში «ვაშაშვილს» ეძახდნენ.

– კიდევ თუ შეგიძლიათ ვინმე გაიხსენოთ «ნაციონალური მოძრაობიდან» ან სხვა პარტიებიდან, ვინც ამ ყველაფერში მონაწილეობდა?

– გია ბარამიძე, გიგა ბოკერია. გიგა

ბალტირიალური უმჯობესება

ბოკერია «მხედრონში» რომ იყო და ავტომატით ხელში რომ დარბოდა, ჯერ კიდევ ბავშვი იყო. ეგ ჯაბა იოსელიანის მეზობელი იყო. ბარამიძეს რაც შეეხება, მე ის ჯერ კიდევ იქიდან მახსოვს, როცა ჟვანიასთან ერთად ჩამოვიდა ზუგდიდში დროებით ხელში. დარწმუნებული ვარ, ჟვანია მოკლეს. მისი მკვლელობა სააკაშვილია და მისი გარემოცვა მას ეხმარებოდა. ასევე მინდა გავიხსენოთ თემურ ყორშია. 2008 წლის ომის დროს ყორშია რუს გენერლებს გაესაუბრა და მათგან გარანტია მიიღო, რომ სამეგრელოში მშვიდობიან მოსახლეობას არაფერს დაუშავებდნენ. მან სუფთა ქართული საქმე გააკეთა. ყორშიაზე კბილებს როლანდ ახალაია იღვსავდა და ავიწროებდა მას. მეერ მკვლელიც მიუზავნა და ყველაფერი ისე გამოაჩინა, თითქოს ყორშიამ თავი მოიკლა. რამდენადაც ვიცო, 1 ოქტომბრის არჩევნებზე ბევრმა შიშით მისცა როლანდ ახალაიას ხმა. სამეგრელოში დიდად არაფერი შეცვლილა. იქ ჯერჯერობით იგივე სიტუაციაა, ისევე ახალაიების კლანი მართავს ყველაფერს. ვაპირებ, დია წერილით მივმართო საქართველოს მთავარ პროკურორს, რათა გასამართლდეს ყველა, ვინც ამ საშინელებებში მონაწილეობდა. ძალიან მიკვირს, აქამდე რატომ არ დააპატიმრეს ელუარდ შევარდნაძე. დღეს რაც საქართველოს პოლიტიკაში ხდება, მისი დანაშაულია. უკვე ყველა მიხვდა, რომ სააკაშვილის პარლამენტში შევარდნა და ვითომ «ვარდების რევოლუცია» დადგმული სპექტაკლი იყო.

მინდა გავაფრთხილო ახალი ხელისუფლება, რომ «ნაციონალური მოძრაობის» გადართიანებისთვის ემზადება. ასევე მივმართავ ბატონ ბიძინა ივანიშვილს, რომ იმოქმედოს სწრაფად, გადამჭრელად და არ წამოეგოს ზეწოლას, რასაც მასზე ახდენენ, – ხალხს ნუ იჭერ, თორემ პოლიტიკურ დევნაში ჩაგეთვლებაო. ეს კრიმინალები ციხეში თუ არ ჩაჯდნენ, საქართველოს საბოლოოდ დაგვამსობენ თავზე.

ასევე მინდა ხმადაღწევა ვთქვა, რომ ყველა ის ადამიანი, რომელიც დღეს ამბობენ, რომ ზვიადის სჯუროდათ და ამავე დროს საქართველოს ნატოში შესვლაზე ოცნებობენ, ორპირები არიან. ზვიად გამსახურდიას არასოდეს უნდოდა ნატოში გაწევრიანება. ზვიადი თვლიდა, რომ ნატო ჩვენი მტერია. რა მნიშვნელობა აქვს, ნატოს ქვეშ ვიქნებით თუ თურქეთის, ეს ხომ, ფაქტობრივად, ერთი და იგივეა! მაინც მგონია, რომ ივანიშვილი სამართლიანობას დაამყარებს, მაგრამ, თუ მან ეს არ გააკეთა, მაშინ იძულებული ვიქნებით, მოვუწოდო ზვიად გამსახურდიას ყველა მხარდამჭერს და გამოსვლები დაიწყო.

ესაუბრა მაია ჩუბინიშვილი

კანონი, რომელიც რფ-ის მოქალაქეობის მიღებას გააიოლებს

რუსეთმა შემოიღო ახალი კანონი, რომელმაც ახალი იმედი ჩაუხსნა რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს. «რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის შესახებ» კანონში ახალი ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხელს შეუწყობს გარკვეული კატეგორიის ადამიანებს, რუსეთში ცხოვრება დაიკანონონ. რუსეთში ქართველთა კავშირი ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში დიდ ყურადღებას აქცევდა იძულებით გადაადგილებულ პირთა ლეგალიზაციას.

რუსეთში ქართველთა კავშირის პრეზიდენმა მიხეილ ხუბუტიამ, რომელიც, ამავე დროს, რუსეთის პრეზიდენტთან არსებული ნაციონალური ურთიერთობების საბჭოს წევრი გახლავთ, არაერთხელ დააყენა ამ კატეგორიების დახმარების საკითხი სხვადასხვა დონეზე. ამ წინადადებების გარკვეული ნაწილი კანონში აისახება.

ახალი კანონის მიხედვით, რუსეთის ფედერალური საიმპერაციო სამსახურის ქვედანაყოფებს უფლება აქვთ, რფ-ის მოქალაქეობად აღიარონ პირები, რომლებმაც 2002 წლის 1 ივლისამდე რფ-ის მოქალაქეთა პასპორტები მიიღეს დადგენილი წესის დარღვევით და ეს პასპორტები შემდგომ გაუქმებულად ცნეს.

ეს ფედერალური კანონი, ასევე, ადგენს, ვის შეიძლება უარი ეთქვას მოქალაქეობაზე. მაგალითად, რუსეთის მოქალაქეები ვერ გახდებიან პირები, რომლებიც საერთაშორისო, შიდაეთნიკური, შიდატერიტორიული ან სხვა შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილეები იყვნენ.

საქინფორმ



კოლხეთი — პაცობრიობის ცივილიზაციის სათავე



დასაწყისი "ილორი" №171-199

ლაზები ქართველთა ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენენ.

ლაზები თურქეთის ტერიტორიაზე შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე ცხოვრობენ, ძირითადად ჭოროხის, რიხეს, ტრაპიზონის ვილაიეტებში. მათი მნიშვნელოვანი ქალაქებია ტრაპიზონი, რიხე, ართვინი, ხოფა, არდაგანი და სხვა.

ლაზები თურქეთის სასოფლო-სამეურნეო რაიონია, მოჰყავთ სიმინდი, ციტრუსი, განთქმული თამბაქოს ჯიშები „ტრაპეზუნტი“, „სამსუნი“. ლაზები მისდევდნენ მესაქონლეობას (მსხვილფეხა და წვრილფეხა).

ქრისტიანობამდე ლაზები მიეკუთვნებოდნენ კოლხურ წარმართულ კერპთაყვანისმცემლურ კულტურას – გაბატონებული იყო წყლისა და ცეცხლის, მთარისა და მზის, ხეების (მუხის) კულტი და ა.შ. ხალხური გადმოცემით მარტივად – კოლხეთის დედაქალაქის მახლობლად, ქრისტიანული ტაძარი დგას იმ მუხის ფესვებზე, რომელსაც თავჯანს სცემდნენ ძველი კოლხები. ამ დროიდან – ქრისტიანული რელიგიის გაბატონების შემდეგ, ეპისკოპოსებს „ჰეონდიდელის“ წოდებას ანიჭებდნენ. (ელეუარდ ჭანტურია, ლაზების (ჭანების) – წერა-კითხვისა და სწავლა-განათლების ისტორიისათვის, თბ., 2006, გვ. 17,48.)

აქ სწორედ მარტივად უღამაზეს სანახებში იზრდებოდა და ვაჟაყვილები და საქართველოს მომავალი გმირი მეფე დავით IV, რომელიც სრულიად ახალგაზრდა ჩაუდგა სათავეში ქვეყნის გაერთიანების ურთულეს საქმეს და ქვეყანა მსოფლიო არენაზე გამოიყვანა, მაგრამ მისმა მემკვიდრეებმა მთლად მისებურად ვერ ზიდეს ეს მიძიმე უღელი.

გადმოცემა ამბობს: მომავალი მეფე თავს არაფრით განისხვავებდა თავისი მეგობარი მარტივად მეგრული გლეხის შვილებისაგან (ბავშვებისაგან), რომლებთან ხშირად აწყობდა „ომობანას თამაშს“ („ომობანაში“ „სარდალი“ ყოველთვის თვითონ იყო) და მათთან მსჯელობდა საქართველოს მომავალზე. მარტივად ხანდაზმულები, თითქმის ერთხმად ადასტურებენ: ყმაწვილი დავითი თუ როგორ ზრუნავდა და კეთილად იყო განწყობილი თავისი ახალგაზრდა მეგობრების მიმართ. ადამიანებზე ზრუნვა და სიკეთის კეთება, ბრძენი მეფის უპირველესი საქმიანობა იყო. მარტივად გვიჩვენებენ იმ ადგილებს სადაც ის თამაშს თამაშობდა. ისინი ამ ადგილმდებარეობაში დარწმუნებული არიან.

„მეგრელები ორ ენაზე მოლაპარაკებულნი“ (სვანების მსგავსად). ისინი ყოფი-ცხოვრებაში ხმარობენ თავის მშობლიურ ენას, ხოლო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ სფეროში იყენებენ ქართულ სალიტერატურო ენას.

ლაზურ ენაზე მოლაპარაკე ხალხი ძირითადად თურქეთში ცხოვრობს. როგორც ითქვამს, თურქეთის ოფიციალური სტატისტიკა ყოველწლიურად ამცირებს ლაზი მოსახლეობის რაოდენობას ქვეყანაში. დიდი ქართველი პატრიოტი ზაქარია ჭიჭინაძე, 1878 წელს რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრებისა და რუსეთის ჯარებისა და ქართველი მოლაშქრეების მიერ ბათუმისა და აჭარის განთავსების შემდეგ, დედა-ენით ხურჯინგადაკიდებული დადიოდა კარდაკარ აჭარის სოფლებში, და ლაზეთში ჩატარებული აღწერის შესახებ (1927წ.)

აღნიშნავდა, რომ ლაზები ლაზიკაში 1810 წლის მონაცემებით, 600 ათას მცხოვრებზე გაცილებით მეტი იყო (ეს მონაცემები როგორც აღინიშნა, ზუსტი არ იყო, რადგან თურქეთში ლაზი მოსახლეობის რაოდენობა მრავალჯერაა შემცირებული). გენერალი გიორგი ყაზბეგი – ჯერ ვარშავის, შემდეგ ვლადივოსტოკის კომენდანტი (შოვინისტებმა ჯარიდან გაუშვეს პოლიტიკური შეხედულების გამო), ილია ჭავჭავაძის შემდეგ საქართველოს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარეა – ვრცლად აღწერს ლაზეთის ისტორიას და ეკონომიკას. ლაზების ენას ყოფს სამ კილოკავად: ხოფური, არქაბული და ათენური. ხოფური ზუსტად ემთხვევა მეგრულს, მეორე – ხოფურსა და ათენურს შორისაა, მესამე კი ბერძნულისა და თურქულის გავლენას განიცდის.

ლაზურ და მეგრულ ენას შორის განსხვავება მხოლოდ კილოკავშია – ის ერთი ენაა (ამას ამტკიცებს მეცნიერთა დიდი ნაწილი). თურქეთში მცხოვრები ლაზები თურქული ენის დიდ გავლენას განიცდიან, მაგრამ ისეთ ადგილებში, როგორცაა ხოფა, რიხე და სხვა ადგილებში – თავიანთ მევიდრ ლაზურ ენაზე ლაპარაკობენ – „მეგრული ხალხის ენაზე“. როგორც ცნობილია, გეოგრაფიულ-პოლიტიკური გათიშვის გამო მეგრელები და ლაზები, მეგრული და ლაზური ენები ერთმანეთს დაშორდა. ლაზები ძირითადად შავი ზღვის (პონტის ზღვის) სანაპიროზე ცხოვრობდნენ – მდ. ჭოროხიდან ტრაპიზონამდე (ქალაქს ლაზურად ტრამატა ეწოდებოდა), და თურქები ამ ტერიტორიებს 1924 წლამდე ლაზისტანად მოიხსენიებდნენ – „ლაზები“ და „ლაზისტანი“ – ლაზების ქვეყანაა. ჩე.წ.ად. IV საუკუნის ავტორი ფსევდონიმოზი წერდა: კავკასიის ზღვისპირის გასწვრივ ცხოვრობდნენ დიდი კოლხები, პენიონებისა და აბასგების ტომები.

ლაზები დასავლეთ საქართველოში, ძირითადად აჭარაში, იმერეთში და აფხაზეთში ცხოვრობენ. ი. მეგრელიძის მიერ 1929 წელს ლაზურ ენაზე გამოცემულ გაზეთში „მითია მურცხული“ (წითელი მერცხალი) ჩამოთვლილია 23 ლაზური გვარი, რომელთა უმრავლესობა მთავრდება „ში“ სუფიქსით. აფხაზეთში ზოგიერთი ლაზური გვარი ასეთია: ბაგაფში, გუბაში, დადალიში (დადალი-ფა), ვანილიში, ვანდიში, ზეკირ-ოღლი (შაქარაშვილი), კახანჯი-ოღლი (კახანჯაქა – მექვაბია – მექვაბიშვილი), იმერ-ოღლი (იმერშვილი), ნახალიში, სოფიში, ტრაფში, ტულუში. ფეიზბა, ცარგუში, ხაგუში, ხალბაში, ხალვაში, ხვაწირიში, ხვატიში და სხვ. (ამაზე ორიოდ სიტყვით ქვემოთაც გვაქვს ლაპარაკი).

გეოგრაფიული პუნქტების დასახელებებში (მთების, მდინარეების, სოფლების, გვარების და ა.შ.) ჩანს ლაზური ტოპონიმები მთელ საქართველოში, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში (აღნიშნავთ ზოგიერთი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე):

აფხაზეთში – ოდიში, გერგეშიში, ტამიში, ფოქეში, ზემო გურიშიში და სხვ. მათი შესატყვისია – დურიპში, გაგრიპში, გულრიპში, მიხლაირიპში, ცანდრიპში და ა.შ.

აჭარაში – დაბა ჭანიეთი; გურიში – გუბაზოული; დღესშიში – ჩიხარში, ჩაჯაში, ხედა ჭყვირშიში, დვრიში, ლაილაში, ხანეში, ოქურში, ყვედრაში;

იმერეთში – დაბა ლაზურიაში, ქვედა გვირაში, ოქურში (მეგრულად ქუსლი, ნაქუსლარი), ტვიში, დიდი ჯიხაში, კულაში. თვით სამეგრელოში მრავლად არის ლაზური სახელწოდებების ადგილები: ოდიში, ცაიში, შუა ხორში, ჭკადუაში, გრიგოლიში, მდინარეები: ჩხოში, ჩაიში, ჭანის წყალი (წენწყარი), ოჭანე.

სვანეთში – უნაში, ჩალოში, ბაგრეში, ხაიში, ბარჯაში, ჩაჯაში, ვაბეში, ქოლაში; რაჭაში – ჟემოში, ვადიში, ხიდაში, ჭაბეში, ჭოლაში, გოგრეში;

ჯავახეთში – დაბა თალოში, სერგეში. გვარები წარმოიშვნენ: „იში“, „იში“, „აში“, „ლაზ“, „ჭან“ და ა.შ. ასეთებია: ვარდიში(ი), სოფიში, ხალვაში, ლაზაშვილი, ლაზბაია, ლაზილილილილი და ა.შ. ეთნონიმი „ჭან“ – ჭანიშვილი, ჭანიძე, ჭანუყვაძე, ჭანკოტაძე, ჭანტურია, ჭანტურია, ჭანტურიშვილი, ჭანტურიძე, ჭანუკაშვილი, ჭანბა და სხვ.

თურქეთში (ლაზეთში) ჭანური გვარები

შეცვლილი სახითაა: ფუქე ლაზურია, ხოლო დაბოლოება თურქული ან სიტყვა თურქულადაა ნაწარმოები, მაგალითად ლაზოღლი (ოღლი – შვილი) – ლაზიშვილი, ჭანოღლი – ჭანიშვილი და სხვა. ქართული გვარი მარგინი თურქულად წარმოებულია მარგოღლი – მაიოროღლი, ქურდიანი – ქურდოღლი.

ლაზეთში მდებარე „უჩაღალი“ (შავი ლელი) პირდაპირ თარგმნილია თურქულად და ამჟამად მას ქვია „ყარა დერე“ – შავი წყალი, ანდა სახელწოდება „წითელი მიწა, თიხა“ პირდაპირ ლაზურიდანაა თარგმნილი „ყიზილ თოფრახი“ და მრავალი სხვა.

ლაზურ სახელებში არის ელემენტი „ზანი“ – დასახელებული პუნქტის ბევრ სახელს შემორჩენილი აქვს ფუქე: საზანი, ზანი, ზანათი, ზანაში და ა.შ. (ელეუარდ ჭანტურია, ლაზების (ჭანების) წერა-კითხვისა და... , გვ. 70-71.) წერს ე. ჭანტურია.

თურქეთში ლაზეთის ადგილობრივი ტოპონიმები მრავალი წლის განმავლობაში იცვლებოდა ოსმალეთის იმპერიის გავლენით. სამწუხაროდ, მრავალი სოფლის, ადგილის სახელწოდება არ ქდურს ლაზურ-ჭანურ-ქართულად, იქაური ლაზ-ჭან-ქართველები მაგრად ებღაუჭებიან მუსულმანურ რელიგიას, თურქულ ადათ-წესჩვევებს. ასეთია ჩვენ მიერ, ჩვენი უთაურობით ასე ადვილად გასხვისებული ქართული მიწების და ქართული მოსახლეობის უკუღმართი ბედი თურქეთში.

ელეუარდ ჭანტურია წერს: ლაზეთში (ჭანეთში) ისე ძლიერად იყო გამჯდარი მუსულმანური სარწმუნოება, სულთანი მათ უფრო ენდობოდა, ვიდრე ზოგიერთ იანიჩართა ხელმძღვანელს. მემატანის ცნობით, როდესაც დაიწყო რუსეთისა და ოსმალეთის ომი (1820-1830წ.წ. პერიოდში), იმ დროს რუსეთი საომარ მოქმედებას აწარმოებდა ახალციხის საფაშოს (სამთავროს) დასაპყრობად. ახალციხის საფაშოს დასაცავად ოსმალეთის სულთანმა გამოიყვანა ლაზთა ლაშქარი, როგორც საუკეთესო მეომრები. გენერალ პასკევისისადმი წარდგენილი-მოსხენებიდან ჩანს, რომ ლაზებს დიდი მამაცობა გამოუჩენიათ ბრძოლებში რუსების წინააღმდეგ.

საგულისხმოა, რომ ფანატოკოსი მოღვაწეები ლაზებს რუსების წინააღმდეგ ამხედრებდნენ. ლაზები თავდადებით იბრძოდნენ მუსულმანობის დასაცავად და გამოდიოდნენ თურქ-ოსმალთა პოლიტიკური ინტერესების დამცველის როლში.

თურქეთში ლაზების სწავლა-განათლები და მოსახლეობის რაოდენობის შესახებ გვინდა აღვნიშნოთ: „XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისში, თურქეთში 2% ლაზი (ჭანი) ცხოვრობდა, XX-ს ბოლოსათვის მთელი თურქეთის მოსახლეობის 5%-მდე. ხალხში-მოსახლეობაში (მათ შორის საქართველოში) გავრცელებულია შეხედულება, რომ ლაზები (ჭანები) 3-დან 5 მილიონამდე იყვნენ, სხვა მონაცემებით 8-10 მილიონი. ჩვენი მხრივ უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა ეს მონაცემი არ არის დაზუსტებული სახელმწიფოს ოფიციალური ცნობებით... თურქეთი სულ რაღაც 50 წლის განმავლობაში 10-15 მილიონი მოსახლეობიდან 60 მილიონს ითვლის (1960 წლის აღწერის თანახმად). ამ მხრივ თურქეთს მართლაც შეუძლია დაიტრიალოს! შემთხვევით არ უთქვამს თურქეთის ყოფილ პრეზიდენტს (პრეზიდენტობის პერიოდში) დემირელს: დასახლეთ ცოლ-ქმარი თურქი უკაცრიელ ადგილას და 50 წლის შემდეგ იქ დიდ ქალაქს ნახავთ – კ.შ.). მაგრამ კვლავ დაბალ დონეზეა სახალხო განცდილების, სახალხო მეურნეობის სპეციალისტების და სხვა კადრების მომზადების მხრივ. ამაზე თავის დროზე დასკვნა გააკეთა იუნესკომ. (ელეუარდ ჭანტურია, ლაზების (ჭანების) წერა-კითხვისა და... გვ. 241-243)“

ისიც გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქართული დასახლება სოჭი (სონა) გამომდინარეობს ქართული სიტყვიდან „სოჭიდან“. მარტივად რაიონის დასახლება „ჰეონდიდანი“ (დიდი მუხა) – წარმოიშვაო საგვარეულო ჰეონდიდელი, რაც სწორი არ უნდა იყოს, რადგან ეს საგვარეულო უძველეს დროიდან არსებულა.

გალის რაიონის სოფლის დასახელება „ჭუბურხინჯი“ არის „წაბლის ხიდი“ („წაბლი“ – „ჭუბური“, ხინჯი – ხიდი).

ლაზ-მეგრელები უძველეს დროიდან მისდევდნენ მეფეზეობას – „ჩხოშუა“, საიდანაც წარმომდგარია ტოპონიმი „ჩხოშაური“ (აჭარაში), რაც სათუხაო ადგილს ნიშნავს, ხოლო პატარა სათუხაო ნავს ეძახდნენ „ჩხოშელას“.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ 2009 წლის იანვრის პირველ ნახევარში თურქეთის პრესისა და მედია-ნიუსის ინფორმაციით, თურქეთის სახელმწიფო ტელევიზიის „ირის“ ბაზაზე შესაძლოა, ლაზური ტელევიზია გაიხსნას. ამ საკითხზე თურქეთის პოლიტიკურ წრეებში სერიოზული დისკუსია მიმდინარეობს, რომელსაც ლაზური წარმოშობის თურქი მოქალაქეები ლობობენ და, რომლებსაც მეჯლისში, არმიაში და მთელ საზოგადოებაში დიდი გავლენა აქვთ.

თავად თურქები ლაზური ტელევიზიის შექმნის საკითხს მეტად მტკივნეულად განიცდიან. ისინი თანახმანი არიან, რომ თურქულმა ტელევიზიამ „ირო“-მ ლაზურენოვანი გადაცემები მოამზადოს, მაგრამ სრულფასოვანი ლაზური ტელევიზიის შექმნას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან. (გაზ. „ახალი თაობა“, 2009, 15 იანვარი, №11, გვ. 7.) ეს საქმე თურქეთში წლების განმავლობაში იხილება. რა თქმა უნდა მეჯლისში, არმიაში და თურქეთის მოსახლეობაში უმრავლესობა თურქია, ამიტომ პრობლემის გადაწყვეტა არ უჭირთ. ბევრი ლაზი ქურნალისტი, მწერალი დევნილია და ვეროპას აფარებენ თავს (განსაკუთრებით გერმანიას). თურქეთის კონსტიტუციით თურქეთში, გარდა თურქისა, „სხვა“ მოქალაქე არ ცხოვრობს, ყველა სხვა ქვეყნის შვილებს გადაკეთებული თურქული გვარები აქვთ.

კოლხეთის ლეგენდარული მეფის ქუჯი ეგრისელის (ძვ. წ. IV-IIIსს), გამოჩენილი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწის მიერ განხორციელებული უდიდესი ღონისძიება, დახმარება – ქართლის მამასახლის მემკვიდრის, ტახტის მამიებელი ფარნავაზისადმი ჯარითა და სხვა საშუალებებით, ქართლისა და კოლხეთის გაერთიანებული უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი – ნებაყოფლობით (თავისი სურვილით) უარის თქმა გაერთიანებული საქართველოს მეფობაზე ფარნავაზის სასარგებლოდ, ისტორიაში გაუგონარი მაგალითი იყო. ეს იყო უდიდესი პატრიოტიზმისა და ქვეყნის ინტერესებისათვის თავშეწირვის, თავდადების უმაგალითო ნიმუში, ეს იყო ქუჯი ეგრისელისა და ფარნავაზის უმაღლესი გონიერული განსჯა, ყველაზე უკეთესი გადაწყვეტილება, რომელმაც მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ქართლისა და კოლხეთის ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. რამდენიმე საუკუნის შემდეგ საქართველოს გაერთიანების იდეა კვლავ ეგრის-აფხაზეთიდან მოდიოდა. ორიოდ სიტყვით გვინდა შევეხოთ ფარნავაზისა და ქუჯის ერთობლივ საქმიანობას ქვეყნის ერთიანობისათვის და მათ ბრძოლას მცხეთის მმართველის, მაკელონელად ცნობილი აზონის წინააღმდეგ.

ცნობილია, რომ ვახუშტი ბატონიშვილიც აზონს მაკელონელად აცხადებდა: აღექსანდრემ „დაიპყრა საქართველო და დაუტევნა ლაშქარნი (ასი ათასათანსი) და მათზედა მთავარი აზონ ძე იარედისა მაკელონელი... და თვით წავიდა. ხოლო ესე აზონ იყო კაცი მოსისხლე და მოშურნე.“ (ქართლის ცხოვრება, ტომი IV, ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1973, გვ. 54.)

პროფესორ გრანი ქავთარიას მიანიხი: „დასაშვებია ქუჯი დამოუკიდებლად აწარმოებდა ბრძოლას. ამიტომაც შეხვდა ფარნავაზის გამოჩენას სიხარულით, აღუთქვა ყოველმხრივი თანადგომა და სერიოზულ დადომებებზე წავიდა... რატომ შეარჩია ფარნავაზმა მრავალ უკმაყოფილო მამასახლისს შორის ქუჯი?“ სხვა მიზეზებს შორის პროფ. გ. ქავთარია აღნიშნავს: „დასაშვებია, რომ ქუჯი წარმოადგენდა პოპულარობით გარემოსილ გმირს და იაზონის წინააღმდეგ მებრძოლის სიმბოლოს იმდროინდელ საქართველოში“.

კლიმენტ შელია, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (გაგრძელება შემდეგ ნომერში)

დავით ფაცაცია: “პარლამენტის შენობის ასაშენებლად დახარჯული თითოეული თეთრის კანონიერება სამართალდამცველებმა უნდა შეისწავლონ”



გავრცელდა ინფორმაცია, რომ გენერალურ პროკურატურაში დასაქმების ყოფილ მინისტრ პაატა ტრაპაიძეს დაიბარებენ და მასზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრება. გამოძიება მას, სხვა მრავალ სადავო საქმეთა შორის, ქუთაისში პარლამენტის მშენებლობის და მასზე გახარჯული ასეულობით მილიონი ლარის კანონიერებაზე და უსვამს შეკითხვებს.

პაატა ტრაპაიძის აღზევება შეგარდნადის მმართველობის ხანაში დაიწყო. 1996 წელს შეგარდნადის მძახალმა გურამ ახვლედიანმა ჩამოაყალიბა “ისტეით გრუპი”, ჰოლდინგი, რომელიც 5 კომპანიას აერთიანებდა. ერთ-ერთი კომპანია შპს “ჯორჯიან ტრანსპექსპედიცია” ახვლედიანმა პაატა ტრაპაიძეს ჩააბარა. სწორედ ამ კომპანიას მიენიჭა საქართველოში ბამბის შემოტანის ექსკლუზიური უფლება შუა აზიიდან.

2003 წელს კი, “ვარდების რევოლუციამდე” ცოტა ხნით ადრე, ტრაპაიძე-ახვლედიანის ტანდემს ბზარი გაუჩნდა და მათი გზებიც გაიყარა. ტრაპაიძე ე.წ. ვარდის ნივთს “შეეკრა” და მომავალი კეთილდღეობისკენ გზაც გაიკაფა. ის კვლავ განაგრძობდა ბამბის შემოტანას. 2004 წელს კი ტრაპაიძე

დიდ შარში გაეხვია: კომპანია “ჯორჯიან ტრანსპექსპედიცია” კონტინენტში აზერბაიჯანელმა სამართალდამცველებმა ბამბაში შეფუთული ტონობით ნარკოტიკი აღმოაჩინეს. ნარკოტიკები ადგილზევე გაანადგურეს, ხოლო პაატა ტრაპაიძე, როგორც გადაამზიდავი კომპანიის ხელმძღვანელი, რატომღაც არავის დაუსჯია, პირიქით – ვარდების ხელისუფლებამ 2005 წელს ტრაპაიძე კომპანია “კავკასუსპროექტის” დირექტორად დანიშნა და საქართველოში ხიდებისა და ავტობანის მშენებლობის ექსკლუზიური უფლებაც მიანიჭა. ამ კომპანიის აშენებული ქუთაისში პარლამენტის შენობა. სწორედ ქუთაისის პარლამენტის მშენებლობაზე გახარჯული თანხების კანონიერების დასადგენად იბარებენ მას გენერალურ პროკურატურაში.

გვესაუბრება “ქართული ოცნების” ახლახორდული ფრთის ერთ-ერთი ლიდერი **დავით ფაცაცია**:

– პაატა ტრაპაიძე დასაქმების მინისტრად პრემიერმა ვანო მერაბიშვილმა წარადგინა და ქართველი საზოგადოება დარწმუნდა, რომ დასაქმების მინისტრი უმუშევრობის პრობლემას მოაგვარებდა, ბიუჯეტს კი 3 მილიარდი ლარით გაზრდიდა. საინტერესოა, დასაქმების სამინისტროს ისეთი რა სასწაული უნდა მოხდინა, რომ ბიუჯეტი 3 მილიარდით გაზრდილიყო? ცხადია, ეს “ნაციონალური მოძრაობის” მორიგი ტყუილი იყო.

– გავრცელდა ინფორმაცია, რომ პაატა ტრაპაიძეს პროკურატურა თანხების მითვისების შესახებ დააკითხავს. ცნობილია რომ ქუთაისში პარლამენტის შენობის სამშენებლო სამუშაოები ტრაპაიძის კომპანიამ შეასრულა. ნუთუ მართლაც ისეთი სავალალო მდგომარეობაა ქუთაისის პარ-

ლამენტში, რასაც ხალხში ამბობენ?

– საქართველოს ისტორიას არ ახსოვს, მსგავსი ოდენობის თანხა რომელიმე ობიექტზე დახარჯულიყო. ეს არის უსახური, ცუდად აშენებული და დაპროექტებული სიმბინჯე, ამ მშენებლობისთვის დახარჯული თითოეული თეთრის კანონიერება სამართალდამცველებმა უნდა შეისწავლონ და დამნაშავე პირები, პაატა ტრაპაიძე იქნება ის თუ მიხეილ სააკაშვილი, კანონის მთელი სიმკაცრით უნდა დაისაჯონ. სააკაშვილის ხელისუფლებამ ამ ადგილზე აღმართული, მერაბ ბერძენიშვილის შექმნილი “გემირთა გემირალი” ააფეთქა, რასაც უდანაშაულო დედა-შვილის სიცოცხლე შეეწირა და მიუხედავად მომხდარი უბედურებისა, მაინც დაიწყო პარლამენტის მშენებლობა. რამდენიმე თვეში მშენებლობას კიდევ ორი ადამიანი შეეწირა. ცოტა ხნის წინ კი ერთ-ერთ ოთახში სხდომის მიმდინარეობისას ჭალი ჩამოვარდა. ბედად, იქ არავინ იყო, თორემ ტრაგედია გარდაუვალი იქნებოდა.

– როგორც ირკვევა, პარლამენტის შენობაში უსაფრთხოების ნორმებია დარღვეული და ამჟამად ექსპერტთა რამდენიმე ჯგუფი მუშაობს. რას სწავლობენ კონკრეტულად?

– ეს შენობა, რომელსაც პარლამენტი ჰქვია, საბჭურს უფრო ჰგავს, ეს არის დახურული სივრცე, სადაც უჩანგადობის გამო სუნთქვა შეუძლებელია. ალბათ, ეგზოტიკური მცენარეებისთვის არის განკუთვნილი და არა ადამიანებისთვის. ახლა ექსპერტთა ჯგუფი შენობაში სწორედ უჩანგადობის დონეს, მის შემცველობას ამოწმებს. მე-4 და მე-5 სართულებზე, პრაქტიკულად შეუძლებელია სუნთქვა.

– გამოდის, წყალში გადაიყარა მილიონები?

– ასე გამოდის. სწორედ ის ადამიანები უნდა დაისაჯონ, ვინც არაკვალიფიციურად, ნაქარვევად ააგო პარლამენტის შენობა ქუთაისში, ვინც მისი ნაქარვევად აშენების განკარგულება გასცა და ვინც შეასრულა ეს ბრძანება. შედეგად უსახური, მახინჯი და საპარლამენტო მუშაობისთვის გამოუსადეგარი შენობა მივიღეთ. პაატა ტრაპაიძემ არა მარტო ამისთვის უნდა აგოს პასუხი, არამედ იმ სხვა უამრავი, მახინჯი და უეკომფო მშენებლობებისთვის, რაც მას კანონდარღვევით, ასეულობით მილიონის საფასურად, მიხეილ სააკაშვილის ახირებების გამო აუშენებია. ამის ერთერთი მაგალითია ანაკლიაში ხიდი, რომელიც წყალმა წაიღო, ამას კიდევ მეორე უსახური ხიდის მშენებლობაც მოჰყვა, რომელიც ასევე წყალმა წაიღო. როგორც ვიცი, ტრაპაიძის კუთვნილ კომპანია “კავკასუსპროექტს” ინფრასტრუქტურის მინისტრ რამაზ ნიკოლაიშვილისგან ჰქონდა მინიჭებული საქართველოში ხიდების, ავტობანის, გვირაბების და ა.შ. სხვა მრავალი მშენებლობის ექსკლუზიური უფლება. საინტერესოა, რისთვის და როგორ დაიხარჯა ასეულობით მილიონი. ჩვენი ხალხის მიერ გაჭირვებით გადახდილი გადასახადების თანხები ყოფილი ხელისუფლების კორუფციულ კლანის ჯიბეებში მოხვდა და, ალბათ, სამართალდამცველები დაინტერესდებიან ამ კორუფციულ გარიგებებში მონაწილე პირთა საქმიანობით და მიხეილ სააკაშვილი, ვანო მერაბიშვილი, რამაზ ნიკოლაიშვილი და პაატა ტრაპაიძე კანონის წინაშე უნდა წარდგნენ!

ესაუბრა **დ. ლიპარტაქიანი**

წყალშია ჭეშმარიტება? – ანუ შეიძლება თუ არა წყლის ტარიფის შემცირება



წყალი თანამედროვე მსოფლიოში სტრატეგიულ რესურსად არის მიჩნეული და, სპეციალისტთა პროგნოზით, ახლო მომავალში ნავთობზე ძვირი გახდება. ოფიციალური მონაცემებით, დღევანდელ მსოფლიოში ნორმალური ხარისხის სასმელი წყალი არ მიეწოდება ერთ მილიარდზე მეტ ადამიანს. ამ მხრივ განსაკუთრებით პრობლემური რეგიონებია ახლო და შუა აღმოსავლეთი, ჩრდილოეთ აფრიკა და ცენტრალური აზია, აგრეთვე ჩინეთი. ყველაზე ოპტიმისტური პროგნოზების მიხედვითაც კი ოციდან წელიწადში წყლის დეფიციტი ჩვენი პლანეტის მოსახლეობის მესამედს შეაწუხებს. ამის მიუხედავად, სპეციალისტების უმრავლესობა ფიქრობს, რომ წყლის ტარიფი საქართველოში, კერძოდ კი, მის დედაქალაქში, ხელოვნურად არის გაზრდილი. ამ მოსაზრებას იზიარებს საქართველოს ენერჯეტიკის აკადემიის წევრი თემურ ჭიჭინაძე:

– ჩვენდა საბედნიეროდ, საქართველო პიდრორესურსებით მდიდარი ქვეყანაა და არ შეიძლება წყლის ტარიფი აქ ისეთივე იყოს, როგორც არის, მაგალითად, არაბეთში, საბერძნეთში, რუსეთში ან აფრიკის ქვეყნებში. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენთან წყლის ტარიფი ხელოვნურად არის გაზრდილი. მოსახლეობის ერთ სულზე დღეს ჩვენ ვიხდით 3,15 ლარს, ხოლო იურიდიული პირები ერთ კუბურ მეტრ წყალში 4,40 ლარს იხდიან, რაც კატეგორიულად მიუღებელია.

– რეალურად რა ღირს 1 კუბური მეტრი წყალი და თუ შეიძლება ტარიფის გაიფხვება?

– თუ ზუსტად დავითვლით, 1 კუბური მეტრი წყლის ღირებულებამ არა მგონია 20-25 თეთრს გადააჭარბოს. არ იფიქროთ, რომ ამას დილემანტის დონეზე, სავარაუდოდ ვამბობდეთ. სემეკი, ანუ ენერჯეტიკის მარეგულირებელი კომისია მკაცრად ასაიდუმლოებს წყლის ტარიფის დათვლის მეთოდს, ანალოგიური რამ ხდება ენერჯორესურსების ტარიფების შემთხვევაშიც. წყლის თვითღირებულება 20-25 თეთრია და ტარიფიდან ძალიან დიდი წილი მიდის მოგებაზე. შეიძლება თუ არა წყლის ტარიფის შემცირება? – დიახ, შეიძლება და სხვათა შორის, მნიშვნელოვნადაც. წყლის თვითღირებულებას უნდა დაემატოს გარკვეული ხარჯებიც, მოგებაც, მაგრამ როცა თვითღირებულება არის 25 თეთრი, გასაყიდი ფასი კი – 3 ლარზე მეტი, დასკვნის გამოტანა თქვენთვის მომინდა. კიდევ ერთი უცნაური ფაქტი უნდა აღინიშნოს: ჩვენთან ერთ სულზე ითვლიან 800 ლიტრ წყალს თვეში, რაც შეუსაბამო რიცხვია. მაშინ, როცა მთელი ევროპის მონაცემებით, ერთ სულ მოსახლეზე წყლის მოხმარება არ შეიძლება აღემატებოდეს 250-300 ლიტრს, ჩვენ რაღა გვემართება?

– და მაინც, მიახლოებით, რამდენ ლარამდე თუ თეთრამდე შეიძლება შემცირდეს წყლის ფასი საქართველოში?

– შემცირება, რა თქმა უნდა, შეიძლება, მაგრამ დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, ეს ნაკლებად მოსალოდნელია.

– რატომ, ბატონო თემურ?

– საქმე ის არის, რომ მარეგულირებელი კომისია იყო და არის დანაშაულო მტერი ხელისუფლებისა. ის ასრულებდა და დღემდე ასრულებს ნოტარიუსის როლს, რა ციფრსაც დაუწერდნენ “თბილისის წყალში” ან უფრო ზემოთ, სემეკიც იმ ციფრებს ამტკიცებდა. მარეგულირებელი კომისიას საჯარო არასოდეს გაუხდია ინფორმაცია იმის შესახებ, როგორ ითვლიდნენ და რის საფუძველზე ადგენდნენ ამხელა ტარიფებს. თუ ეს ინფორმაცია საჯარო იქნება, მაშინ უკვე ნათელი გახდება, რამდენით შეიძლება შემცირდეს ტარიფი.

თუმცა, ერთია, რასაც მე თქვენ გიმტკიცებთ და მეორე – ის, რომ მარეგულირებელმა კომისიამ უნდა გაასაჯაროოს ინფორმაცია, რომელიც წლების განმავლობაში საიდუმლო იყო შენახული, ანუ – ტარიფის დათვლის მეთოდები და ხელშეკრულება, რომელიც სახელმწიფომ გააფორმა კომპანია “თბილისის წყლის” მფლობელებთან.

– წყლის ტარიფი ელექტროენერჯის ფასთანაც ხომ არ არის დაკავშირებული?

– წყლის ღირებულების კომპონენტებში ელექტროენერჯის წილი ძალიან მცირეა – დაახლოებით 30 პროცენტზე. ამიტომ ელექტროენერჯის ფასი წყლის ტარიფზე მაინცდამაინც არ მოქმედებს. მით უმეტეს, რომ ჟინვალის თბილისის წყალი თვითღირებით მიეწოდება, შესაბამისად, ელექტროენერჯის მინიმალური დანახარჯით. სწორედ ჟინვალის აწვდის დედაქალაქს წყლის რაოდენობის 85 პროცენტს. ამიტომ კიდევ ვამბობ, რომ წყლის ტარიფის შემცირება სავსებით რეალურია, თუმცა ჩვენს დღევანდელ ხელისუფლებას არა აქვს საამისო ბერკეტები, რადგან მარეგულირებელ კომისიაში ძველი ხელისუფლების მიერ დანიშნული ხალხი ზის, რომლებიც ინიციატივას არ იჩენენ, ტარიფის გასაიფხვრებად იმუშაონ. ჩემი აზრით, ისინი დღემდე არიან დამოკიდებული ძველ ხელისუფლებასზე. ამ კომისიაში ისეთი შემადგენლობა მუშაობს, რომელიც სხვაგვარად ვერც მოიქცევა. ის განსხვავება, რომელიც არის წყლის თვითღირებულებასა და გასაყიდი ფასს შორის, გასაგებია, ვის ჯიბეებში მიედინებოდა და მიედინება დღესაც.

– როგორია თბილისისთვის მოწოდებული წყლის ხარისხი?

– ჩვენთვის მოწოდებული წყლის ხარისხზე კონტროლი ისევე გასაიდუმლოებულია, როგორც ბევრი სხვა რამ. ადრე ეს ინფორმაცია ქვეყნდებოდა და გვექონდა საშუალება, გაგვევოთ, თუ როგორი ხარისხის წყალს ვინებდით. დღეს ეს თქმაც დახურულია. ვინ ამოწმებს სასმელი წყლის ხარისხს, როგორ და რანაირად, ინფორმაცია არ არის. “თბილისის წყალი”, ალბათ, ამოწმებს, მაგრამ მათი შემოწმების ხარისხს იცვი მეპარება. ფაქტია, რომ

წყლის ტარიფი ათჯერ და უფრო მეტად არის გაზრდილი და არსებობს დიდი შანსი მის შესამცირებლად. ახალი მთავრობა კი დააპარაკებს ტარიფების შემცირებაზე, მაგრამ სემეკში ძველი შემადგენლობა რჩება. თანაც, ეს ის ხალხია, ვინც “ნაციონალური მოძრაობის” ერთგულ კადრებად არის მიჩნეული. ისინი ყველაფერს იღონებენ, რომ ტარიფი არ შემცირდეს. გამორიცხული არ არის საბოტაჟიც. ახალმა ხელისუფლებამ მოსახლეობის გული რომ არ მოიგოს, ყველაფერს იღონებენ, რომ იფანიშვილისა და მისი გუნდის დაპირებები არ შესრულდეს. მათთვის ხელსაყრელიც კია, რომ ბიძინა ივანიშვილს ხალხი უკმაყოფილო ჰყავდეს. კიდევ ვიმეორებ, იმ ბერკეტებით, რაც დღევანდელ ხელისუფლებას აქვს, წყლის ტარიფს ვერ შეამცირებენ.

გახვთ “ილტორს” კომენტარი: ჩვენ უკვე ვწერდით ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ წლების განმავლობაში, საქართველოდან, კერძოდ, ივრის მიდამოებიდან, მადალხარისხიანი სასმელი წყალი აზერბაიჯანში უსასყიდლოდ მიედინება 540-მილიმეტრიანი მილით, რაც დღესაც ამოუსხნელ ფენომენად რჩება ქართული ეკონომიკისათვის, რადგან არაფინ იცის, აქვს თუ არა ამ გარიგებიდან რაიმე სარგებელი საქართველოს მხარეს. ფაქტია, რომ საქართველოს სახელმწიფოს ამ ბიზნესიდან არაერთი შემოსავალი არ გააჩნია და ისიც სავარაუდოა, რომ დანაშაულზე ბრივი გარიგებით, აზერბაიჯანის მხარე მოხმარებული წყლის ღირებულებას ხელისუფლებასთან დაახლოებულ რომელიმე კომპანიას ოფშორულ ზონაში მალულად ურიცხავს. ამ ეჭვს აძლიერებს ისიც, რომ აზერბაიჯანი რამდენჯერმე შეეცადა იმის დამტკიცებას, რომ წყალმიმდები მოწყობილია სახდვარზე მდებარე ივრის კალაპოტში, რაც ორივე მხარეს აძლევს მისი ექსპლუატაციის უფლებას.

იმედია, საქართველოს ხელისუფლება მალე შეისწავლის ამ საკითხს, რაც გარკვეული რეზერვი გახლავთ და ხელისუფლებას მოსახლეობის მიერ წყლის გადასახადის გაიფხვების საშუალებას მისცემს.

შს – ვანო მერაბიშვილის საქმესთან დაკავშირებით ჩვენებებს და განცხადებას ავრცელებს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ვანო მერაბიშვილის საქმესთან დაკავშირებით განცხადებას და ჩვენებებს ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

შინაგან საქმეთა სამინისტრო, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, აქვეყნებს ამონარიდებს ყალბი დოკუმენტის გამოყენებისა და სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში მოწმის სახით დაკითხული ყოფილი პრემიერ-მინისტრის – ივანე მერაბიშვილის, პრეზიდენტის ადმინისტრაციის პროტოკოლის სამსახურის უფროსის ზურაბ დარჩიაშვილის, ამავე სამსახურის თანამშრომლის გიორგი გიორგაძის და მესაზღვრე კონტროლიორის ვაჟა ლოლაძის ჩვენებებიდან.

აღნიშნული ჩვენებები და საქმის მასალები ცხადყოფენ, რომ ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ივანე მერაბიშვილმა მართლმსაჯულებისათვის შეგნებულად ხელის შეშლის მიზნით, გამოიძიებას მიაწოდა ცრუ ინფორმაცია, რომელიც არსებითად ეწინააღმდეგება საქმეში მოპოვებულ მტკიცებულებებსა და უტყუარად დადასტურებულ ფაქტებს, აგრეთვე, სხვა მოწმეთა ჩვენებებს:

ამონარიდი მესაზღვრე კონტროლიორის ვაჟა ლოლაძის ჩვენებიდან:

2012 წლის 30 ნოემბერს, მე ვმუშაობდი მოფრენის საერთო დარბაზში ხელმძღვანელობის დავალებით. დაახლოებით 15:00 საათზე გადავედი vip დარბაზში, როგორც ჩემთვის იყო ცნობილი უნდა შესრულებულიყო ე.წ. დეტალური რევიზია, რაც ნიშნავს ქვეყნის პირველი პირების გაფრენას ან მოფრენას, ხოლო ამ კონკრეტულ შემთხვევაში იყო გაფრენა. გაფრენა, როგორც ჩემთვის იყო ცნობილი, უნდა განხორციელებულიყო ერენის მიმართულებით. ე.წ. vip დარბაზში გადასვლის შემდეგ მე აღმოვაჩინე, რომ ერენაში უნდა წასულიყო საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, დელეგაციასთან ერთად.

ჩემთან მოვიდა პროტოკოლის სამსახურის წარმომადგენელი, რომელმაც მანამდე მომწოდებდა პასპორტები და მან კვლავ მომწოდებდა პასპორტი – საქართველოს მოქალაქის პასპორტი გაცემული ლევან მაისურაძის სახელზე. მე შევამოწმე აღნიშნული პასპორტი და აღმოვაჩინე, რომ მასში იყო მოთავსებული (დატანილი) საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის ივანე მერაბიშვილი ფოტოსურათი. ვინაიდან მე წლების განმავლობაში ვმუშაობ პოლიციაში, ასევე ვმუშაობდი ივანე მერაბიშვილის მინისტრობის დროსაც, მე იგი ამოვიცანი ფოტო-სურათზე. მითუმეტეს, რომ ივანე მერაბიშვილი არის ცნობილი ადამიანი იგი ხშირად მინახავს ტელევიზითაც. მე მისი ფოტო-სურათის ამოცნობა არ გამიჭირდა და შემიძლია კატეგორიულად დავადასტურო, რომ ფოტო-სურათზე გამოსახული იყო სწორედ შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ივანე მერაბიშვილი.

ვინაიდან აშკარა შეუსაბამობა იყო პასპორტში არსებულ ფოტო-სურათსა და დემოგრაფიულ მონაცემთა შორის, მე პროტოკოლის სამსახურის წარმომადგენელს, რომელმაც მომწოდებდა აღნიშნული პასპორტი განეუქმარტე, რომ პასპორტის მფლობელს არ მიეცემდა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის შესაძლებლობა. ვინაიდან პასპორტში არსებული დემოგრაფიული მონაცემები არ შეესაბამებოდა ფოტო-სურათზე გამოსახულ პიროვნების მონაცემებს. მე წარმომადგენელს ვკითხე თუ ვისი პასპორტი წარმოიშობა მან, რაზეც მიპასუხა, რომ მის მიერ წარმოდგენილი პასპორტი იყო ივანე მერაბიშვილის. მან დათვალა ივანე მერაბიშვილის მიხედვით პასპორტი დააკვირდა ფოტო-სურათს და თქვა, რომ პასპორტში მოთავსებული იყო ივანე მერაბიშვილის ფოტო-სურათი, რაზეც მე მას ვუთხარი დემოგრაფიული მონაცემები შევამოწმებინა. დემოგრაფიული მონაცემების შემოწმებისთანავე მან პასპორტი აღარ დამიბრუნა და მან პასპორტი მიუტანა პრეზიდენტის პროტოკოლის სამსახურის უფროსს ზურაბ დარჩიაშვილს. ამ დროს

მე დავინახე, რომ ზურაბ დარჩიაშვილთან ერთად იდგა შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი მინისტრი ივანე მერაბიშვილი. ივანე მერაბიშვილმა ზურაბ დარჩიაშვილთან ერთად დახედა პასპორტს ხმადაღწეულად თქვა რა პრობლემა არისო, ეს პასპორტი არ გავატაროთ, იმ პასპორტს ცოცხანაში მოიტანე. დაახლოებით 3-5 წუთში დარჩიაშვილმა მომწოდებდა საქართველოს ეროვნული პასპორტი გაცემული ივანე მერაბიშვილის სახელზე, მასში მოთავსებული ივანე მერაბიშვილის ფოტო-სურათით, რაც მე შესაბამისი წესით გავატარე. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მე დავინახე თუ როგორ გამოართვა ივანე მერაბიშვილმა ზურაბ დარჩიაშვილს ლევან მაისურაძის სახელზე გაცემული პასპორტი და ჩაიღო ქურთუკის ჯიბეში. ივანე მერაბიშვილმა სახელმწიფო საზღვარი გადაკვეთა მის სახელზე გაცემული პასპორტით, რომელიც მე მომწოდებდა ზღვარიდან.

ამონარიდი პრეზიდენტის ადმინისტრაციის პროტოკოლის სამსახურის უფროსი ზურაბ დარჩიაშვილის ჩვენებიდან:

დაახლოებით 15:30 საათზე სახელმწიფო დელეგაცია შეიკრიბა ქ. თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, როდესაც ვიწვევდით საპასპორტო კონტროლის გაულას სსსაზღვრო გამშვებ პუნქტამდე, რამდენიმე მეტრის მოშორებით ივანე მერაბიშვილმა მომწოდებდა პასპორტი რომლითაც უნდა მომხდარიყო მის მიერ საზღვრის კვეთის დაფიქსირება და საპასპორტო კონტროლის გაულა. ივანე მერაბიშვილის პასპორტი მე მივაწოდე ჩემს თანამშრომელს გიორგი გიორგაძეს რომლის სუსტი დემოგრაფიული მონაცემები და მისამართი მე არ ვიცო, თუმცა აღნიშნულს მოგაწვდით, ვინაიდან იგი არის პრეზიდენტის ადმინისტრაციის პროტოკოლის სამსახურის თანამშრომელი. გ. გიორგაძემ მითითებული პასპორტი მიიტანა სსსაზღვრო გამშვებ პუნქტთან და მიაწოდა მესაზღვრე კონტროლიორ პატრულ-ინსპექტორს. რამდენიმე წუთში გ. გიორგაძემ მითხრა, რომ გაურკვეველობა იყო ივანე მერაბიშვილის პასპორტთან დაკავშირებით და განმარტა, რომ მითითებული პასპორტი არ იყო ივანე მერაბიშვილის, რომელიც არის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი და ამჟამინდელი „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი საქართველოში. მე მივედი მესაზღვრე კონტროლიორთან სადაც ჩემმა თანამშრომელმა გიორგი გიორგაძემ მესაზღვრე კონტროლიორს გამოართვა და მე მომწოდებდა ჩემს მიერ ზემოთ ხსენებული პასპორტი, მე გამოვართვი პასპორტი მას, შევამოწმე პასპორტის გრაფაში არსებული სახელი და გვარი რომელიც არ ემთხვეოდა ივანე მერაბიშვილის სახელს და გვარს, კერძოდ როგორც მე მასსოვს ხსენებული პასპორტი გაცემული იყო ლაშა მაისურაძის სახელზე, თუმცა მე არ დამიხედავს და ამჟამად აღვნიშნავ, რომ ყურადღებით არ დამითვალა ივანე მერაბიშვილი პასპორტი რაც არ შედიოდა ჩემს მოვალეობაში, ანუ ვისი სურათი იყო პასპორტში ჩაერთული არ ვიცო, მე ზეპირად ვიცოდი საზღვარგარეთ გასამგზავრებული პირების სია და ლაშა მაისურაძე არ ირიცხებოდა ამ სიაში და, აქედან გამომდინარე, ხსენებული პასპორტი დაკუბრუნე პირადად ივანე მერაბიშვილს.

ივანე მერაბიშვილმა განმარტა, რომ ეს პასპორტი ნამდვილად სხვა პასპორტი იყო და მითხრა, რომ ცოცხანაში მოიტანდნენ მის პასპორტს და მართლაც 5-7 წუთში, ჩემთვის უცნობმა მამაკაცმა, რომელიც შესაძლოა იყო ივანე მერაბიშვილის თანმხლები პირი, მოიტანა ივანე მერაბიშვილის პასპორტი რომელიც წესის და რიგის შესაბამისად გადაეცა მესაზღვრე-კონტროლიორს.

ამონარიდი პრეზიდენტის ადმინისტრაციის პროტოკოლის სამსახურის მთავარი სპეციალისტი გიორგი გიორგაძის ჩვენებიდან:

აეროპორტის vip დარბაზში შემოვიდა შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ივანე მერაბიშვილი, რომელმაც პასპორტი გადასცა ზურაბ დარჩიაშვილს, ხოლო მან თავის მხრივ გადმომცა მე იმ მიზნით, რომ პრეზიდენტთან და სხვა დელეგაციის წევრებთან ერთად გაველო ივანე მერ-

აბიშვილს საპასპორტო კონტროლი და გამგზავრებულიყო მათთან ერთად ქ. ერევანში. მე ისე, რომ ზურაბ დარჩიაშვილის მიერ გადმოცემული ივანე მერაბიშვილის პასპორტისათვის არც კი დამიხედავს ისე წარუდგინე პატრულ-ინსპექტორს (მესაზღვრე-კონტროლიორს) და მიგბრუნდი აეროპორტის დარბაზში, რამდენიმე წუთში პატრულ-ინსპექტორმა მითხრა, რომ ჩემს მიერ წარდგენილი პასპორტი არ ეკუთვნოდა შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრს ივანე მერაბიშვილს და ამ პასპორტით ვერ მისცემდა ივანე მერაბიშვილს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის უფლებას. მე დავუძახე იქვე დარბაზში მყოფ ზურაბ დარჩიაშვილს და ვუთხარი, რომ ივანე მერაბიშვილის პასპორტთან დაკავშირებით იყო პრობლემა. კერძოდ პატრულ-ინსპექტორი (მესაზღვრე-კონტროლიორი) აცხადებდა, რომ ჩემს მიერ წარდგენილი პასპორტში არსებული დემოგრაფიული მონაცემები არ ემთხვეოდა ივანე მერაბიშვილის დემოგრაფიულ მონაცემებს. ზურაბ დარჩიაშვილმა პატრულ-ინსპექტორს გამოართვა აღნიშნული პასპორტი და რამდენიმე წუთში მოიტანეს ივანე მერაბიშვილის პასპორტი, რომლის საშუალებითაც მან გაიარა საპასპორტო კონტროლი და გაემგზავრა საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან და ოფიციალურ დელეგაციის წევრებთან ერთად ქ. ერევანში.

ამონარიდი ყოფილი პრემიერ-მინისტრის ივანე მერაბიშვილის ჩვენებიდან:

“2012 წლის 30 ნოემბერს ე.წ. vip დარბაზში დელეგაციის დამხმარე პირს გადავეცი ჩემი ეროვნული პასპორტი, რომელსაც უნდა მიეტანა იგი მესაზღვრე კონტროლიორამდე. მის ბიომეტრიულ გვერდზე დატანილი იყო ჩემი სურათი ჩემი სახელი და გვარი: ივანე მერაბიშვილი დაბადებული 15.04.1968 წელი და შესაბამისი პირადი ნომერი, რომელიც არ მახსოვს. დასმულ შეკითხვაზე დამხმარე პირმა გადმომცა თუ არა ჩემს მიერ მიწოდებული ეროვნული პასპორტი და მითხრა თუ არა რაიმე გიპასუხებთ: მე რამდენადაც მახსოვს დამხმარე პირს ჩემი ეროვნული პასპორტი წარუდგინე გადავეცი ერთხელ და მას ჩემთვის არაფერი არ უთქვამს პასპორტთან დაკავშირებით და არც რაიმე ინციდენტი შემინიშნავს და, ასევე, გაფრენის შემდეგ, როდესაც ასევე დაებრუნდა საქართველოში არც შემდეგ მქონია რაიმე შეხება.

მე ლევან მაისურაძეს დაბადებულის 12.02.1970 წელს არ ვიცნობ, არც მისი რაიმე სახის დოკუმენტი მინახავს და არც მქონია”, – წერია შსს-ს მიერ გავრცელებულ მასალაში.

ვანო მერაბიშვილის ამ განცხადებას გამოემხურა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, რომელმაც განაცხადა: “ვანო მერაბიშვილს უნდა გააჩნდეს საკმარისი ვაჟაკობა იმისთვის, რომ აღიაროს მომხდარი ფაქტი!” მინისტრის თქმით, ძალიან სამარცხვინოა ის ფაქტი, რომ ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი და ყოფილი პრემიერ-მინისტრი მომხდარ ფაქტს არ აღიარებს.

“ჩემთვის ძალიან სამარცხვინოა ის ფაქტი, რომ ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი და ყოფილი პრემიერ-მინისტრი არ აღიარებს იმ ფაქტს, რომ დამზადებული იყო სხვა პასპორტი ვინმე ლევან მაისურაძის სახელზე. ეს ფაქტი დაფიქსირა პატრულის თანამშრომელმა და დადასტურა პროტოკოლის თანამშრომელმა. მე პირადად, მრცხვენია, რომ ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი და პრემიერი არ აღიარებს ამ ფაქტს. ის უბრალოდ ტყუის, როდესაც აცხადებს, რომ მსგავს ფაქტს არ ჰქონია ადგილი. მიმართა, რომ ნებისმიერ ვადასთან და განსაკუთრებით ყოფილი პრემიერს და ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრს უნდა გააჩნდეს საკმარისი ვაჟაკობა, რომ აღიაროს მომხდარი”, – აღნიშნა ღარიბაშვილმა. მისივე თქმით, ამ საკითხზე გამოძიება გაგრძელდება “ჩვეულებრივ, კლასიკურად” და გამოძიება დაადგენს ობიექტურ გარემოებებს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ვანო მერაბიშვილის მიერ ყალბი დოკუმენტის გამოყენებისა და სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ

გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო.

“2012 წლის 30 ნოემბერს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ივანე მერაბიშვილი სახელმწიფო დელეგაციის შემადგენლობაში გამოცხადდა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში. ამავე დელეგაციის შემადგენლობაში ქალაქ ერევანში გამგზავრების მიზნით. საპასპორტო კონტროლის გაგლის დროს საქართველოს პრეზიდენტის პროტოკოლის სამსახურის თანამშრომელმა აეროპორტის მესაზღვრე კონტროლიორს წარუდგინა ივანე მერაბიშვილის პასპორტი. მესაზღვრე კონტროლიორმა კანონით დადგენილი პროცედურის გაგლის დროს აღმოაჩინა, რომ სინამდვილეში პასპორტი გაცემული იყო ვინმე ლევან მაისურაძის სახელზე, ივანე მერაბიშვილის ფოტოსურათით. აღნიშნულ ფაქტზე თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო სამსახურის მიერ დაიწყო გამოძიება ყალბი დოკუმენტის გამოყენებისა და სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე”, – განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის უფროსმა ნინო გორგობაძემ.

მისივე განმარტებით, იმის გამო, რომ არ შეფერხებულიყო სახელმწიფო ვიზიტი და დელეგაციას არ შექმნოდა პრობლემა, ივანე მერაბიშვილს მიეცა საშუალება წარმოედგინა სხვა, ნამდვილი პასპორტი და მის მიმართ სამართლებრივი პროცედურები მყისიერად არ განხორციელდა.

“იმავე საღამოს, 23.00 საათზე უკან დაბრუნებულმა მერაბიშვილმა პრეზიდენტის ესკორტთან ერთად დატოვა თბილისის საერთაშორისო აეროპორტი, რის გამოც მის მიმართ კანონით დადგენილი საგამოძიებო მოქმედებები ვერ ჩატარდა”, – აღნიშნა გორგობაძემ.

ჩვენის მხრივ კი შეგვიძლია დავძინოთ – სულაც არ არის გასაკვირი სააკაშვილის ყოფილ მაღალჩინოსნებს რამდენიმე პასპორტი რომ ჰქონდეთ გამოწერილი, სხვადასხვა პიროვნებათა სახელზე. ბევრმა მათგანმა უკვე უშველა თავს და სწორედ ყალბი პასპორტით მოახერხა საქართველოს საზღვრის გადაკვეთა და სასაზღვროსთან დროებით თავის დახსნა. ჯერჯერობით აქ დარჩენილ ყოფილ მაღალჩინოსანთა გარშემო წრე თანდათან იკუმრება და მათ მიერ ჩადენილი დანაშაულობათა გამოაშკარავება სულ უფრო და უფრო აახლოვებს ამ მაღალჩინოსნებს ციხის ფისოსთან კარვთან. არა მგონია, რომ ყოფილი პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას იდუმალებით მოსილი დაღუპვის (უფრო სწორად – მკვლელობის) სამართლიანად გამოძიებამ არ გააჩინოს შეკითხვები მერაბიშვილის მიმართ, რისიც სავესტის სამართლიანად ეშინია ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრს.

ამიტომაც ჰქონდა ალბათ ყალბი პასპორტი “გახაზირებული” ბატონ მერაბიშვილს, რასაც გამოძიებაც დაადასტურებს!

ამჯერად კი ისარგებლა მერაბიშვილმა ქართველ მესაზღვრეთა დელიკატურობით, რომლებიც მიერიდნენ დებოშის ატეხვას, და, ჩვეული ეშმაკობით მოახერხა ყალბი პასპორტის გადაძალა, მაგრამ მან კარგად უნდა იცოდეს, რომ კოცა ყოველთვის წყალს ვერ მოიტანს და, ერთხელაც იქნება, ისიც ჩვეულებრივი ავაზაკივით გაემტება ორივე ფეხით კანონის ხაფანგში.

რ. შალამაძე



სადისტების ენით აუწერელი სისასტიკე!

რატომ აწამეს შს-ს ყოფილი მალაჩინოსანი

“ფაცაცამ ბრტყელუნათი ფრჩხილი რომ მომადრო, მაშინ დაგეგმე პირველად გონება”

შს-ს ყოფილი მალაჩინოსანი ბადრი ღვინჯილია ციხეში სასტიკად წამების ფაქტებს პირველად უმხელს ჟურნალისტებს. გუთხოვა, – ვიცი, მასალის გამოქვეყნების შემდეგ ისევ პროკურატურაში დამბარებენ, დაიწყება ხელახალი დაკითხვები. იქნებ, ამ ეტაპზე ვინც ციხეში მაწამა, იმის ვინაობის გამსვლელს გან თავი შევიკავოთ. უარი ვუთხარი იმ მოტივით, რომ ოდესმე ვინმემ უნდა გაბედოს და დაიწყო სიმართლის თქმა, ასე რომ, ინტერვიუს შს-ს ყოფილ მალაჩინოსანთან უცვლელად გთავაზობთ, რა თქმა უნდა, თავისი სახელებითა და გვარებით.

ბადრი ღვინჯილია: – “ვარდების რევოლუციის” შემდეგ ზემო სფანეთის მთავარ სამმართველოში ვმუშაობდი, 2005 წელს თბილისში, გლდან-ნაძალადევის პოლიციის სამმართველოს უფროსად გადმომიყვანეს, ბოლოს კი დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის სამმართველოს უფროსი გახლდით. 2006 წელს ჩემი ნებით დაეწყო პატაკი წაოსვლის თაობაზე, მიზეზი გირგვლიანის განხილვის საქმე გახლდათ. მქონდა შემოთავაზებები სხვადასხვა პოლიტიკური პარტიიდან, მაგრამ მე ოფიცირი კაცი ვარ და მიმაჩნდა, რომ პოლიტიკაში არაფერი მესაქმებოდა. კერძო სექტორში დაიწვე მუშაობა – მერჩინა ხალხი დამესაქმებინა და ჩემი საქმე შეკეთებინა.

2011 წლის 30 სექტემბერს, დამის 10 საათისთვის სტუმრებს ვაცილებდი და სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე გავანერეთ მანქანა. ფეხი ჩავდგი თუ არა, 50 წელს გადაცილებული მამაკაცი მომიახლოვდა და მეუბნება, პროკურატურიდან ვარ, უნდა წამოხვიდეთ. მივლი ცხოვრება ორგანოს ხელმძღვანელ თანამდებობებზე ვმუშაობდი და კარგად ვიცი, რა და როგორ ხდება. ვუთხარი, ჯერ საბუთი მანქანა და მერე მიზეზი ამისხენი, რატომ უნდა წამოგვეყვო-მეთქი. უცებ მომიახლოვდა ორი მოხუცი მამაკაცი და უკან, ქამარზე მომქანეს. ამ ჭიდაობა-ჭიდაობაში ისე შემათრეს მანქანაში, რომ საბუთი არ წარმოუდგენიათ. დავინახე, რომ იქვე მოძრაობდა ორი შავი ფერის ჯიპი, სავატრო ცენტრის შესასვლელთან კი საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი იყო გამწყობებული. მივხვდი, რომ ჩემს დასაკავებლად ოპერაცია იყო დაგეგმილი. წამოვიყვანეს დიდუბე-ჩუღურეთის

მთავარ სამმართველოში. გზაში საშინლად მცემს. იქ რომ მიმიყვანეს, მანქანიდან ჩემი შვილი დავინახე, დამიძახა, – მამაო.

გავიგონე, როგორ გადაულაპარაკა ერთმა პოლიციელმა მეორეს, – ესეც თავის ფეხით მოსულა, სასწრაფოდ ჩასვით მანქანაში და წამოიყვანეთ. 19 წლის ბიჭუცა ლაპარაკი, არ დაგავიწყდეთ. მე ნარკოლოგიურში წამოვიყვანეს, ჩემი შვილი კი საგარეოში “კაპეზეზე” გადაიყვანეს. ნარკოლოგიურში რომ მიმიყვანეს, ისეთი ნაცემ-ნაბეგვი ვიყავი, დიდი ბოდიში და მოშარდვის თავიც არ მქონდა. თუმცა, ამას მაინც არ გავაკეთებდი, რადგან წელის დაღვევა მომიწვედა და კარგად ვიცოდი, რასაც ჩამიყვინდნენ. ამიტომ, წელის დაღვევაზე უარი განვაცხადე. ასეთ შემთხვევაში, კანონის შესაბამისად, თორბო ავტომობილურად ჩამიწერეს. შემდეგ გადამიყვანეს გლდანის ციხეში და წინასწარი ორთვიანი აღმკვეთი ღონისძიება მომისაჯეს. სწორედ იქ მაწამეს... ცემისგან ისეთი დასიყვარული ვიყავი, რომ სახე და ტანი ერთიანად შემუშებულად მქონდა. მეორე დღეს მოდის სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილი პირი და მეკითხება, მიცანით? რას ვიცნობდი, სახე ისე მქონდა შემუშებული, თვალებს ძლივს ვახვლდი. ხანამ ეს კაცი შემოვიღო-და, მანამდე ერთ-ერთმა პატიმარმა პურის ყუა მომაწოდა, ჭამე, შშიერი იქნებო. ლუკმა პირისკენ რომ მიმქინდა, სწორედ ამ დროს შემოვიდა ეს ტიპი და მეუბნება: პური გამოიღე პირიდან, გადააგდე და ხელები უკან წავიდეთ. მერე მკითხა, ვერ მიცანით? ვერა-მეთქი. გადაიხარხარა, როგორ ვერ მიცანი, თქვენთან რომ ვმუშაობდი (შენობთაც არ მოუშართავს), სამსახურიდან გამოიშვიო. მერე, როდესაც ციხიდან გამოვედი, გავარკვიე, ვინც იყო ეს კაცი.

გლდან-ნაძალადევის პოლიციის სამმართველოს უფროსი რომ ვიყავი, მაშინ კი არ დავითხოვე სამსახურიდან, სხვა განყოფილებაში გადავიყვანეს. ახლა ეს კაცი გლდანის ციხის რეჟიმის უფროსი ოლეგ ფაცაცია (ცნობილი “ცოცხების ჯალათი” – თრ.) გახლდათ. რომ ვუთხარი, ვერ გცნობ-მეთქი, მიპასუხა, მალე გაიგებ, ვინც ვარო. მეორე დღესვე ჩამიყვანეს სადღაც ბნელ ოთახში. უხედავ, ზის ეს ფაცაცია, ხელში კი დიდი ბრტყელუნა უჭირავს, წვეტიანი ბოლოთი. მომახალა, მალაჩინოსნებზე ინფორმაციები გვანტერესებს და ამას ქალაქზე გადაიტან, დაწერ იმას, რასაც ჩვენი გეტყვით. ოდესმე თუ გავიგია, ვინმეზე რაიმე ინფორმაციას ვიძლეოდ-მეთქი? არასდროსო, – მიპასუხა, მაგრამ ახლა მე ვიქნები პირველი, ვისაც ამას ეტყვიო. მერე მომიახლოვდა ხელში ბრ-

ტყელუნას თამაშ-თამაშით, უცებ დამწვდა ხელზე და ფრჩხილზე მომიჭირა, მერე მოქანა, მაგრამ ვერ მოაძრო. მერე კიდევ მოქანა და ფრჩხილი მომაძრო. მაშინ დაგვარგე პირველად გონება.

– რომელ მალაჩინოსნებზე გთხოვდათ ინფორმაციას? ან საიდან უნდა გცოდნოდით?

– ჩემს სამმართველოში მე ვიყავი უფროსი, მაგრამ ზოგადად ხომ მყავდა ხელმძღვანელობა. შს-ს სხვა მალაჩინოსნებზეც ხომ ვფლობდი ინფორმაციებს. მახსოვს, ფაცაცია ვუთხარი, – ხედავ, რა დღეში ვარ, ცემისგან ერთიანად შემუშებული, შვილი დატყერილი მყავს და რას აკეთებ-მეთქი. ყურად არ მათხოვა, ახლა რასაც გეტყვი, იმას დაწერო. ვუთხარი, არაფერს არ დაეწერ, ყველა ფრჩხილი რომ დამაძრო და თავიც რომ მომატრა-მეთქი. მანამდე მარცხენა ხელზე მაცილია ფრჩხილებს, ეტყობა იმიტომ, რომ წერის დროს ფურცელი სისხლით არ დამესვარა. ახლა მარჯვენაზე გადავიდა. შემდეგ ფეხის ფრჩხილებსაც მიაღწა. გონება რამდენჯერმე დაგვარგე. ფაცაცია დამცინოდა, – ახლა შენს გალამაზებულ ფრჩხილებზე მანიკურს ვეღარ გააკეთებ, ხომ შეგელება ისედაც ხახხასა ვითვალდო. ამ საშინელებას რომ მორჩა, ისე მშვიდად ადგა და წავიდა, თითქოს კი არ ვეწამებინე, ნარდი გვეთამაშოს. საკანში რომ დაგბრუნდი, მისური დახეი და ფრჩხილები იმით შევიხვიე. ის თითები მთელი წლის განმავლობაში მიჩირქვდებოდა, მაგრამ ფაცაცია მითხარა, ეს ექიმებს არ ანახო, თორემ ვინმეს ყურამდე რომ მივიდეს, შეიღს მოგიკლავო... რამდენიმე დღის შემდეგ შვილი მომიყვანეს.

ჩემმა ბიჭმა მოხოვა, საპროცესო შეთანხმებაზე დავთანხმებულყავი. – მამა, აღიარებთ იმელება უნდა მისცე, თორემ მეც დამიჭერენო. მხოლოდ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ საპროცესო გარიგებაზე დავთანხმდი. საბოლოოდ, ჩემს შვილს წერილობითი ხელმოწერისთვის მისცეს აღმინისტრაციული სასჯელი და 10 დღე იჯდა ციხეში, თითქოს წინააღმდეგობა გაუწია პოლიციას, სინამდვილეში კი მხოლოდ იმიტომ, რომ მამამისი საპროცესოზე არ თანხმდებოდა. მე 1 წელი მოვიხადე და ახლახან გამოვედი.

– მაინც რისთვის დაგიჭირეს?

– განაჩენში ასე ჩაწერეს: დაკავების დროს წინააღმდეგობის გაწევისთვის. მაგრამ, ხანამ პოლიციას გავუწვევდი წინააღმდეგობას, მანამდე ხომ იყო დაგეგმილი მთელი ოპერაცია. აი, ეს ვერ დავადგინე დღემდე – რისთვის! 40-ზე მეტი მკვლელობა მაქვს გახსნილი, 2005 წელს განსაკუთრებით მიმი-

დანაშაულის გახსნილების დროს ორდენით დამაჯილდოვეს. გირგვლიანის მკვლელობის შემდეგ კი ამ სიბინძურეში ვეღარ გაეჩერებოდი და მერაბ ბაღათურიასთან ერთად (ქალაქის პოლიციის სამმართველოს უფროსი – თრ.) მეც დავწვევდი წამოსვლაზე პატაკი. ხანდახან ვფიქრობ, ასე იმიტომ მომეცქენენ, რომ მათი გუნდის წევრი არ გახდის და ამით ბინძურ საქმეებს ვერ მოვერგებ-მეთქი, მაგრამ ამისთვის ხუთი წელი რატომ იცადეს?!

– ვერსიების დონეზე მაინც არ გაქვთ ეჭვი, ვის ინტერესებში შედიოდა თქვენი დაკავება?

– ვერსია შეიძლება ბევრი იყოს. ერთ-ერთ ვერსიად შესაძლებელია ჩაითვალოს ის, რომ სტრასბურგში გირგვლიანის საქმის მოგების შემდეგ, საქართველოს ხელისუფლება ოფიციალურად იქნა დადანიშნული. როგორც ჩანს, სტრასბურგში წაგებული ამ პროცესმა იმდენად გაამწარა ნაციონალური, გადაწვევით აღიარდა ახალი კომპრომიტები შს-ს იმ მალაჩინოსნებზე, რომლებიც იმ პერიოდში მალაქ თანამდებობებზე იყვნენ. თუ ვერ ამოყვინდნენ, შეეითხნათ მაინც, თუნდაც ცრუწმენების ფონზე, რომ მერე აქეთ შეეცრალებინათ...

– თქვენთან ერთად რომელიმე მალაჩინოსანი თუ დააკავეს?

– ჩემთან ერთად არა, მაგრამ ჩემამდე მხეცურად სცემეს ვაკე-საბურთალოს პოლიციის სამმართველოს უფროს გონა აღფაიძეს.

ამას წინათ ჩემმა ადვოკატმა განცხადება შეიტანა პროკურატურაში განაჩენის გადახედვის თაობაზე, ახლა ველოდები პასუხს. იმედია, ყველაფერი გაირკვევა...

ბოროტების მოხვედრი თავად ებეგვა თავის მოქსოვილ ბადეში საკს პანსი

თ. როსტიანაშვილი



დავით ჯალაღანი – კალუსტინასთან დაკავშირებული ბადაყვებულებაზე ზედაკირულად არ ყოფილა მიღებული



პალესტინის სტატუსთან დაკავშირებით გადაწყვეტილება არ ყოფილა ზედაკირულად მიღებული და ქართული მხარე აწარმოებდა ინტენსიურ კონსულტაციებს ყველა მხარესთან, როგორც აშშ-სთან, ასევე ევროპასთან, ისრაელთან, მათ შორის საქართველოში ისრაელის ელჩთან. ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **დავით ჯალაღანი** განაცხადა.

მისი განმარტებით, საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია ახლო აღმოსავლეთის რეგიონთან საუკუნოვანი კავშირი, მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა, თანაარსებობა და სახელმწიფოებრივი კავშირი არაბულ ქვეყნებთან და ისრაელთან.

“ჩვენ მათ მეგობრობის თვალთ ვუყურებთ და ნებისმიერი ძალადობრივი ფაქტი და ნგრევა იწვევს ჩვენს გულისტკივილს. ამ რეგიონში სტაბილურობის მდგრადი სიმშვიდის მიღწევა მო-

ლაპარაკების გზით მიგვანია ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესის ერთ-ერთ პრიორიტეტად. შესაბამისად აღნიშნული რეზოლუცია საქართველოს მიერ ამ ტრიონში განიხილებოდა”, – განაცხადა დავით ჯალაღანიამ.

მინისტრის მოადგილის თქმით, თავისთავად არ იყო იოლი ამ გადაწყვეტილების მიღება, თუმცა საქართველო ხელმძღვანელობდა მისი განსკუთრებული დამოკიდებულებით ამ რეგიონის მიმართ. ამასთან, როგორც **დავით ჯალაღანი** აღნიშნა საქართველოს ურყევი პოზიციაა მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით ამ კონფლიქტის მოგვარება და საქართველო ცდილობს, იყოს თანმიმდევრული თავის საგარეო პოლიტიკაში.

“ჩვენ გავაგრძელებთ ეს პოზიცია, რომელიც გვქონდა ადარებულად”, – განაცხადა დავით ჯალაღანიამ.

მისივე თქმით, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 1992 წელს საქართველოს პალესტინა პყავს აღიარებული. გარდა ამისა, ქართული მხარე რეგულარულად უერთდებოდა გაერო-ში წარმოდგენილ რეზოლუციებს, რომელიც ეხებოდა პუმანტარულ საკითხებს და ყოველთვის გმობდა ძალადობას და ტერორს.

რაც შეეხება რეზოლუციას, **ჯალაღანი** თქმით, ყოველგვარი საუკულებით თავიდან აცილების მიზნით, ქართულმა მხარემ გააკეთა დათქმა ხმის მიცემისთანავე, რომელიც განისაზღვრა მისი დამოკიდებულება და ხელდა რეზოლუციის ტექსტის მიმართ. კერძოდ საუბარია იმაზე, რომ

საქართველო არ განიხილავს ამ სტატუსს, როგორც პალესტინისთვის გაერო-ს მუდმივი წევრის სტატუსს.

რაც შეეხება კითხვას, რეზოლუციაზე თანხმობის შედეგად ხომ არ იქნება მოსალოდნელი ისრაელთან ურთიერთობის დაძაბვა, **დავით ჯალაღანი** განაცხადა, რომ ეს ნეგატიურ ზეგავლენას არ მოახდენს ორმხრივ ურთიერთობებზე და ამ დრომდე ისრაელის მხრიდან ამ გადაწყვეტილებას პროტესტი არ მოჰყოლია.

როგორც **დავით ჯალაღანი** აღნიშნა, რეზოლუციაზე თანხმობა შეთანხმებული იყო ხელისუფლებასთან, ხოლო გადაწყვეტილება საგარეო საქმეთა სამინისტროს რეკომენდაციით იქნა მიღებული, და არ აქვს მნიშვნელობა, პიროვნულად ვინ იყო გაერო-ში იმ მომენტში და ვინ ასწია ხელი პალესტინას გაერო-ში სტატუსი მუდმივი დამკვირვებლიდან დამკვირვებელ სახელმწიფომდე გაეზარდა, რომელიც გაერო-ს წევრი არ არის. პალესტინის სტატუსის გაზრდას მხარი დაუჭირა 138-მა ქვეყანამ, მათ შორის – საქართველომ. თავი შეიკავა 41-მა სახელმწიფომ, ხოლო 9-მა ხმა წინააღმდეგ მისცა. სტატუსის მინიჭებას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ ისრაელი და აშშ.

სტატუსის გაზრდა პალესტინელებს გაერო-ს გენერალურ ასამბლეაში მონაწილეობის უფლებას აძლევს, ასევე ზრდის მათი მონაწილეობის დამაჯერებლობას გაერო-ს სხვადასხვა სააგენტოებში და საქრთაშორისო სასამართლოში, თუმცა ეს ავტომატურად არ ხდება.

ზუმბილსა და ბალს პატარა ხილი დააკავშირებს

მიმდინარე წლის დეკემბერში დასრულდება პატარა ხიდის მშენებლობა, რომელიც ზუგდიდსა და ბალს ერთმანეთთან დააკავშირებს. საწყის ეტაპზე ახალ ხიდზე გადაადგილებას მხოლოდ ქვეითად მოსიარულეები შეძლებენ, თუმცა შემდგომში ის ტრანსპორტის მოძრაობასაც უზრუნველყოფს.

გალის რაიონის დანარჩენ საქართველოსთან დაკავშირება აფხაზეთის ლიდერ ალექსანდრე ანკვაბის წინააღმდეგობა დაპირება იყო. არჩევნიდან ერთ წელიწადში გაირკვა, რომ გამშვებ პუნქტები 1-ლი იანვრიდან გაისხნება და მათ მხოლოდ რუსები გააკონტროლებენ. გალის რაიონის მოსახლეობა ზუგდიდში გადასვლას უპასპორტოდ და უფასოდ შეძლებს, ამისთვის მხოლოდ საცხოვრებელი ადგილის ცნობა დასჭირდება. თუმცა ტყვარჩელისა და გაერის მცხოვრებნი საზღვარს აფხაზური პასპორტის გარეშე ვერ გადაკვეთენ და მათთვის ვიზის საფასური 5 ლარს შეადგენს.



რატომ თქვა უარი კულტურის მინისტრმა მოაღბილეხად იური მერიტოვისა და ხათუნა ხუნდაძის დანიშვნაზე



– მაინც რა თანხა გამოიყო კულტურისთვის ბიუჯეტიდან 2013 წლისთვის?

– პრეზიდენტის ფონდიდან დაფინანსებას თუ არ მივამატებთ, 2013 წელს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ბიუჯეტიდან 80 მილიონ ლარამდე გამოიყოფა და ეს ძალიან ცოტაა. 2012 წელს კულტურის სამინისტროს 80 მილიონზე მეტი ლარი გამოუყვეს, 20 მილიონი კი პრეზიდენტის ფონდიდან გადაირიცხა მასშტაბური დონისიბებისთვის. ამ შემთხვევაში სამინისტრო გამტარის როლს ასრულებდა. ჯერჯერობით რაც ვიცო, ძალიან დიდი თანხა, ორმილიონ-ნახევარი ლარი იტალიელი ტენორის, ანდრეა ბონელის ჩამოყვანასა და კონცერტს მოხმარდა, დაახლოებით ერთ მილიონზე მეტი დაჯდა მიუზიკლი „ქეთო და კოტე“ და ასე შემდეგ. ახალი მოსული ვიყავი სამინისტროში, პოლიციის გამგებრე ვალე შენობის წინ მოცაკევავე „სუხი-იშვილებს“ ნახევარწუთიანი კლიპის გადაღებისთვის 400 000 ლარამდე თანხის გადახდა რომ მოგუთხოვეს. მოგუთხევენ, რომ თანხა ძალიან გაბერილი იყო, ამიტომ ხარჯთაღრიცხვა მოითხოვეთ და რაღაც ვერაფერი წარმოგიდგინებ, კლიპის ავტორებს მის გადახდაზე უარი ვუთხარი. პრეზიდენტის ფონდიდან გადაირჩენილი თანხა კი სრულად დავაბრუნეთ. რაღაც ახალ ცხონებებს ვიყვებო, წინასწარ უნდა განვსაზღვროთ პრიორიტეტები და მკაფიოდ ვთქვათ, რომ ვინც უნდა ჩამოვიდეს, მსგავს მასშტაბურ კონცერტებს ჩვენ ვერ დავაფინანსებთ. მსოფლიო დონის ვარსკვლავები ბევრ ქვეყანაში მართავენ კონცერტებს, მაგრამ ამ კონცერტების ორგანიზებისთვის ან მათი სპონსორისთვის ბიუჯეტის ფულს არსად იხდიან! ყველაფერი გაყიდული ბილეთებიდან შემოსული თანხით იფარება, ამის ფუფუნება კი ჩვენს ქვეყანასა და საზოგადოებას ჯერ არ აქვს. ძალიან მნიშვნელოვანია უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის განსაზღვრა: რას უშეოტინი მათგან და რას მივაწვდით. კულტურის ენაზე უნდა მოვაგვაროთ შიდა ურთიერთობებიც. ეს სამინისტრო უნდა გახდეს არა მარტო ძეგლთა დაცვისა და თანამედროვე ხელოვნების მფარველი, არამედ უნდა იყოს მაკალითი, როგორ შეიძლება ადამიანებს შორის დიალოგი კულტურის ენაზე და სიძულვილის გარეშე. ვეცნობი, სოციალურ ქსელ „ფეისბუქს“ მიმწერას, პრესას, მასმედიის სხვა საშუალებებს და მიმანია, რომ ეს დღევანდელ რეალობაში მოყოფი საზოგადოების მახასიათებელია და აქ არანორმალური არაფერია. თუმცა ცუდია, რომ ზოგიერთმა გახუთმა და „ფეისბუქში“

გამონათქვამმა პოლემიკის ფორმა კვლავ სიძულვილით წასწია დაპირისპირებისაკენ. ეს არის რომ გვანგრევს და ეროვნულ დაქსახსულობაში ხარჯავს ჩვენს ენერჯიას. ჩემი ბოლოდროინდელი ყველა ინტერვიუ იწყებოდა და სრულდებოდა იური მერიტოვისა და ხათუნა ხუნდაძით, თითქოს სამინისტროში მეტი არაფერი ხდება. დამალა კიდევ ერთისა და იმავეს გამოვრებამ, რომ შესანიშნავი „სი-ვი“ აქვს ქალბატონ ხათუნა ხუნდაძეს: შტუტგარტში დაამთავრა კულტურის უმაღლესი სასწავლებელი, საზღვარგარეთ ბევრი პროექტი განახორციელა, კარგი მენეჯერია, პროდიუსერია და ამიტომაც მოვიწვიეთ. რაც შეეხება „ფეისბუქზე“ მის აღრიხედულ გამონათქვამებს, იქ „შეგობრებში“ არ მყოფია, ამიტომ მოვიხმინე, რაც თვითონ ბრძანა, რომ გაუტეხეს პირადი გვერდი და შეურაცხყოფილი სიტყვებიც ნაწურეს. თუკი ასეა, ძალიან ცუდი მაგრამ თუკი მართლად თვითონ დაწერა, ესეც ძალიან ცუდია, რადგან არა მგონია, რომ ასეთი სიტყვებითა და ტონით უნდა ვეკონტაქტოთ ერთმანეთს. იური მერიტოვი კი ძირძველი თბილისელი კაცია, მხიარული და ენამოსწრებული, 200-ზე მეტი პერსონალური და ჯგუფური გამოფენა ჰქონდა, კარგი მენეჯერია, საგამომცემლო საქმესა და ფილმების დირექტორობაში გამოცდილი, ის არ გაშიშვლებულა ტელევიზორზე. „უთუბიზე“ გავრცელებულ ვიდეოში კი, წელს ზემოთ მიშველი, შინაა გადაღებული და პეკევა ანეკდოტებს, მაგრამ ვერ მოვიწონებ ნათქვამს, რუსების სადღეგრძელო ყოველდღე უნდა დავლითო. ადამიანების ბედს ხელაღებით და ზერულად ვერაფრით მოვეყრობით, მაგრამ რაღაც კულტურის ახალ პოლიტიკაზე ვმუშაობთ, პრიორიტეტებს ვაღგენთ და სამინისტროს რეორგანიზაციას ვაპირებთ, ყველა პროფესიონალს თავისი უნარების, გამოცდილებისა და შესაძლებლობების მიხედვით მიეჩინება ადგილი. ყველაფერი კარგად ავწონ-დავწონეთ და გუნდურად გადავწყვიტეთ, რომ იური მერიტოვი და ხათუნა ხუნდაძე კულტურის მინისტრის მოადგილეები არ იქნებიან, თუმცა შესაძლოა, მათი პროფესიული გამოცდილებიდან გამომდინარე, სამინისტროს სხვა სამსახურების ხელმძღვანელებად ეხილოთ. მთავარია, ყველამ ერთად საქმე გააკეთოთ. მერწმუნებ, ჩემს მოადგილეებთან დაკავშირებით კინკლაობა მეთაუხარისხოვანია იმასთან შედარებით, რაზეც სამინისტროში ვმუშაობთ. ამ პერიოდს აუცილებლად გავივლით, ისევე როგორც ვერობის ქვეყნებსა გაიარეს და ყველაფერს მივაღწევთ სამართლიანობით, გამჭვირვალობითა და დიალოგით.

დემოკრატიის გზა ძნელი და მძიმეა, ავტორიტარული, „ვერტიკალური მართვა“, „გაათავისუფლებ-დანიშნეს“ პრინციპი – გაცილებით იოლი, ამიტომაც მოჰყვება ყოველთვის ამ უკანასკნელს საზოგადოების დიდი უკმაყოფილება და საბოლოოდ – მისი ნგრევა.

– სამწუხაროდ, „გაათავისუფლებ-დანიშნეს“ პრინციპი დღესაც გრძელდება და რეგიონებში „ქართული ოცნების“ მიერ დანიშნული გამგებლები ან მაგორიტარი დეპუტატები ათავისუფლებენ თანამშრომლებს. მათ შორის არიან მუნიციპალიტეტების კადრები, რომლებიც ნაწილობრივ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსაც ემკვებებარებიან.

– სიმართლე გითხრათ, ასეთი მასშტაბური გათავისუფლებების შესახებ თქვენგან პირველად შევიტყვე როდესაც ხელისუფლებაში მოვიდით, ვამბობდით, რომ ყველანი ერთად გავიმარჯვებდით, განსხვავებით ლოზუნგის – „ჩვენ ერთი ვართ ვართ“. ხელისუფლებაში იმისთვის მოვედით, რომ სახელმწიფოებრივი, და არა პარტიული, ხედვითა და გადაწყვეტილებებით დაეძლიოთ ძველი პრობლემები, თორემ წინა ხელისუფლებას დავემსგავსებოთ. მსოფლიოს ისტორიას აქვს შესაბამისი მაგალითი – ოლივერ კრომველი, რომელმაც მეფეს თავი მოჭრა და თვითონ გახდა მეფე. საკუთარ ხალხთან სხვა ტონით სალაპარაკოდ მოვედით, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ კანონი არ კანონობდეს ან დამნაშავემ პასუხი არ აგოს, მაგრამ თავისი მრწამსის გამო უდანაშაულოს დასჯა არაფრით შეიძლება. არ უნდა დაგვივარდუნდეს, რომ 20 წლის წინ ერთმანეთს ვესრულეთ და, სამწუხაროდ, ის სიძულვილი ინერციით დღესაც მოგვყვება, ამიტომ ცხონების ამ როულ გზაზე აუცილებლად უნდა ვითანამშავროთ ჩვენი ძველი, დიდი კულტურა, რითაც ვვიცნობენ და ბევრს ვუყვარვართ! ვეღარ ვიცხოვრებთ სიძულვილით, რადგან ქვეყანა კიდევ ერთხელ მიუახლოვდება სუციდიის, თვითმკვლელობის ზღვარს და კვლავ კატასტროფის მიშვევებით. ამ ზღვრის სიახლოვერე ოგონი და იმტომ მოვედი პოლიტიკაში, კულტურის მინისტრადაც, რომ როგორმე დავხმარებოდი ჩემს ქვეყანას. კულტურის ძველი მხოლოდ ქვა და შენიხა ხომ არ არის, კულტურის ძველი ზეპირსიტყვიერებაცაა და სწორედ ერთ-ერთი ლექსი გვასწავლის: „რაც მტრობას დაუნგრავს, სიყვარულს უშენებია!“ ჩვენი მუშაობაც ამ ძველის იდეოლოგიით გვინდა წარვმართოთ.

ი. ხარშილაძე

სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“, გახუთი „ილორი“ უდიდესი გულისტკივილით იუწყებიან, რომ 72 წლის ასაკში გარდაიცვალა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი და ლეგენდარული წარმომადგენელი, გასული საუკუნის 60-იანი და 90-იანი წლების პოლიტიკური პატიმარი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების შემდეგ შევარდნაძის რეჟიმის წინააღმდეგ მოქმედი ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტის თავმჯდომარე

ზაურ ქობალაძე

სამამიარს ვუცხადებთ ბატონ ზაურის ოჯახს და სრულიად საქართველოს. უფალმა ნათელში ამყოფოს მისი სული.



წავიდა ჩვენგან ჰეშმარიტი მამულიშვილი, სამშობლოს სიყვარულით გულანთებული პატრიოტი, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი – ზაურ ქობალაძე. მან ცხოვრების მძიმე გზა გაიარა და დირსეულად ზიდა ქრისტიანული მრწამსისა და სამშობლოს ერთგულების უმძიმესი ჯვარი. ზაურ ქობალაძე დაიბადა 1941 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ კორცხელში. აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. ახალგაზრდობის რომანტიკულმა წლებმა მას გვერდით ჩაუარა, ვინაიდან იგი სხვა მიმართულებით წავიდა და არჩევანში არც შემცდარა. მისი გზა ტადრისკენ სავალი გზა იყო, რომელიც არასდროს ყოფილა ია-ვარდებით მოფენილი. ზაურ ქობალაძის უყვარდა ლიტერატურა, ბავშვობიდანვე წერდა ლექსებსა და მოთხრობებს და ზუგდიდის რაიონულ ბიბლიოთეკასთან არსებული ახალგაზრდა შემოქმედთა გაერთიანების აქტიური წევრი იყო. ის ხვდებოდა, რომ მარტო ლიტერატურული საქმიანობით ვერ უშველიდა თავის სამშობლოს და თანამოაზრე ინდიკო ქობალაძისთან ერთად 1961 წელს ჩამოაყალიბა არალეგალური ანტისაბჭოთა ჯგუფი, სადაც გაერთიანდნენ ნაციონალისტურად განწყობილი ახალგაზრდები, რომელთა მიზანი იყო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. 1962 წელს ჯგუფის წევრებმა სოფელ ოდიშის (ზუგდიდის რაიონი) მახლობლად ერთ-ერთ გამოქვაბულში დაბეჭდეს ანტი-საბჭოთა ნაციონალური შინაარსის პროკლამაციები და გაავრცელეს საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში. ისინი ხშირად აწყობდნენ ფარულ შეკრებებს და ადგენდნენ სამომავლო გეგმებს. 1963 წელს ზაურ ქობალაძე თანამოაზრეებთან ერთად დააბრუნებულ იქნა და 5 წლის ვადით გადაასახლეს ციმბირში, კერძოდ მორდვეთის მკაცრი

რეჟიმის შრომა-გასწორების მე-7 ბანაკში, სადაც მხოლოდ პოლიტაპტიმრები იხდიდნენ სასჯელს. სასჯელის მოხდის შემდეგ შინ დაბრუნებული, ჯანმრთელობაშერყეული ზაურ ქობალაძე ყოველ ნაბიჯზე გრძობდა ფარულ მეთვალყურეობასა და დევნას. მიუხედავად ამისა, ის განაგრძობდა ლიტერატურულ გაერთიანებებში აქტიურ მონაწილეობას, სადაც თვითგამოცემითი ჟურნალის („ნოთე“) ერთ-ერთ ნომერში დაიბეჭდა მეტად საინტერესო მოთხრობა „საქანელა X“. ამ მოთხრობამ სასტიკად განარისხა ადგილობრივი ხელისუფლება და მის მიმართ უფრო გაამკაცრეს მეთვალყურეობა... 1976 წელს ზვიად გამსახურდიას რედაქტორობით გამოვიდა არალეგალური თვითგამოცემითი ლიტერატურულ-პოლიტიკური ჟურნალი „ოქროსი საწმისი“ და ჟურნალი „საქართველოს მთაბეჭ“. სწორედ ამ პერიოდიდან დაუახლოვდა ზაურ ქობალაძე ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებს – ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას. ეროვნული მოძრაობის აღმავლობის წლებში ზაურ ქობალაძე აქტიურად თანამშრომლობდა ამ ორგანიზაციასთან. ის ზუგდიდში და საერთოდ, სამეგრელოს რეგიონში მდებარე იდუწოდა ეროვნული ცნობიერებისა და ეროვნული ღირსების გაღვივება-აღორძინებისათვის. ზაურ ქობალაძემ თავის თანამოაზრეებთან ერთად ზუგდიდში შექმნა ზვიად გამსახურდიას მიერ დაფუძნებული პულსინკის კავშირის ზუგდიდის ორგანიზაცია და ის ერთ-ერთი პირველი წევრი გახლდა ამ ორგანიზაციისა. 1990 წელს საყოველთაო-სახალხო არჩევნებში ეროვნული ძალების გამარჯვების შემდეგ ზაურ ქობალაძე ხდება უზენაესი საბჭოს დეპუტატი. 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგანგებო სხდომაში მიიღო საქართველოს სახელმწიფოებრივი

დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. ამ აქტს სხვებთან ერთად ხელს აწერს დეპუტატი ზაურ ქობალაძე. ის იყო საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი და უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე. კრიმინალური ძალების მიერ სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ შევარდნაძის ხუნტამ დააპატიმრა ზაურ ქობალაძე და მას გაუგონარი თავხედობით შეითხინა ბრალდება მხოლოდ 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მე სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლა მომიხაჯა უფალმა და სად მოვიხდი ამ სასჯელს – ციხეში თუ გარეთ, ათი თუ თხუთმეტი წლით, ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვს – განუცხადა ხუნტის სასამართლოს ზაურ ქობალაძემ. მერე იყო შიმშილობის აქცია პოლიტპატიმართა მხრიდან და ასევე საზოგადოების მრავალათასიანი საპროტესტო მიტინგები, რამაც აიძულა უკანონო მთავრობა გაენთავისუფლებინა ეროვნული მოღვაწეები, მათ შორის ზაურ ქობალაძე. ზაურ ქობალაძის გამოქვეყნებული აქვს ლექსების კრებული და რომანი – „სტუმარი“. ის გახლდა ღრმად მოაზროვნე და საკუთარი ხელწერის მქონე შემოქმედი. სიცოცხლის ბოლო წლების განმავლობაში ის ეკლესიური ცხოვრებით ცხოვრობდა. საკუთარი ხელით მოაწეპრთმა ზუგდიდის კარის ეკლესიის კარები. იყო ამავე ეკლესიის მორჩილი და მიიღვდა როგორც მორჩილი – მამა კობალიძე. წავიდა ჩვენგან ვაღმოსხილი და პირნათელი. მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური მიწა.

სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“ გახუთი „ილორი“ ჟურნალი „აიპა“

რუსეთის ბაზარი – “ჩიტი ბღღვნად ღირს”

ექვსი წლის წინ დაკეტილი რუსეთის ბაზარი ქართული ღვინისთვის, შესაძლოა, უახლოეს მომავალში გაიხსნას. კონკრეტული თარიღების დასახელება ჯერ ძალიან ადრეა, თუმცა რუსეთისა და საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებებში ამბობენ, რომ მხარეებს შორის აქტიური სამუშაო პროცესი დაიწყო და ქართული ღვინო ძველ ბაზარს ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდება. სხვა საკითხია, მიაღწევს თუ არა პროდუქცია ბაზარამდე და როგორ შედეგს აჩვენებს, რადგან უკანასკნელ პერიოდში მას, მრავალი ქვეყნიდან გაყალბებული პროდუქციის შემოდინების გამო, საკმაოდ შერყეული ჰქონდა ავტორიტეტი.

სხვათა შორის, სხვა ქვეყნებში ქართული ღვინის გაყალბებაც ჩვენ გვებრალდებოდა, რადგან, ჩვენი მთავრობა მაშინ ჰაიპრად არიოვდა ქართული ღვინის წარმოების დიკონტროლს. სიყალბე კი იმ დონეზე იყო ასული, რომ არამც თუ ბოთლებში ჩაასხმული უგემური სითხის ხარისხს, არამედ ეტიკეტის შესაბამისად გაფორმებასაც კი არავინ აქცევდა ყურადღებას. ასე განხდა, ერთი ხანი, რუსეთის მაღალი დახლებზე ქართული ღვინო “სვანკარა”, ნაცვლად “ხვანკარას”. იყიდებოდა მილიონობით ბოთლი ფალსიფიცირებული “ახაშენი”, “ნაფარული”, “წინანდალი”, “მუკუზანი”, “ქინმარაული”... მოხდა ის, რაც ასეთ შემთხვევაში ხდება ხოლმე – რუსი ადამიანისათვის ნატვრად ქცეულ ქართულ სამარკო ღვინოს ყველამ შეაქცია ზურგი, ხოლო ჩვენი პროდუქციის ბრენდის ამგვარად დევალიზირების შემდეგ, როგორც წესი, სომხებმა ატეხეს ხმაური: “ღვინის სამშობლო საქართველო კი არა, სომხეთია, რადგან მაგათი ღვინო არ დაიღვევო”.

სომხებმა მხოლოდ მას შემდეგ დაიხიეს უკან, როცა ავესენით, რომ ღვინო მხოლოდ დასაღვეი არ არის, რომ ვაზის მოვლა, ყურძნის მოსავლის მოყვანა, ღვინის დაყენება და მისი მოხმარება მხოლოდ მათობელა სითხის დაღვევას არ ნიშნავს და ეს გახლავთ რთული ეროვნული ფენომენი (თუნდაც თამადის ინსტიტუტი, რომელიც არცერთ ხალხს არა აქვს, და თუ აქვს, ისიც ჩვენგანაა გადაღებული).

მაგრამ ჩვენ, ჩვენივე გულარხინობის წყალობით იძენდა დავაზიანეთ ქართული ღვინის იმიჯი, რომ დაგვარგეთ უღიფხუი რუსული ბაზარი!

თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ ქართული ღვინის ამ დრამაზე სხვა მოვლენებმაც მოახდინეს უარყოფითი ზეგავლენა.

რუსეთის ხელისუფლება საკუთარ ბაზარს პოლიტიკური ზეწოლის ბერკეტად რომ იყენებს, ესეც ძველი ამბავია. მსგავსი გადაწყვეტილებები რუსეთის მთავარი სანტარის, გენადი ონიშენკოს ხელით რუსეთის ხელისუფლებას არაერთხელ მიუღია. რუსეთის ბაზარზე ქართული პროდუქციის დაბრუნების პირობა ბიძინა ივანიშვილმა წინასაარჩევნო შეხვედრების დროს დალო. ჯერ კიდევ აგვისტოში, აჭარაში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ “ჩვენ რუსულ ბაზარს თავისუფლად დავიბრუნებთ”, მსგავსი დაპირებები ივანიშვილმა არც კახეთში სტუმრობისას დაიშურა და არც სხვა რეგიონებში.

არჩევნებში გამარჯვების შემდეგ გამოჩნდა, რომ პრობლემის სწრაფი მოგვარება შეუძლებელია და როგორც ოქტომბრის დასაწყისში პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, არავითარი ხელნასაკიდი საბუთი და მკიცხვებულება არ აქვს, რომ რუსეთის ბაზარი უგვევლად გაიხსნება. ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხალურის განცხადებებით, რუსეთის ბაზარზე ქართული პროდუქციის გატანას ხელისუფლება უშლიდა ხელს და მთავარი იყო, მას ბიზნესისთვის ხელი არ შეეშალა.

ახალმა მთავრობამ რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგების მიმართულებით რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. პრემიერ-მინისტრის სპეცწარმომადგენლის დანიშვნას დაემატა სოფლის მეურნეობის მინისტრის ინციტატივა, რუსეთის ბაზარზე ქართული პროდუქციის დაბრუნების შესახებ მოლაპარაკებები დაწყებულიყო. 15 ნოემბერს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა დაადგინა, რომ ქართული ღვინის რუსეთის ტერიტორიაზე დაშვების თაობაზე მუშაობა დაწყებულია. პასუხად საქართველოს მთავრობაში თქვეს, რომ პროცესს ყოველმხრივ ხელს შეუწყობენ. სოფლის მეურნეობის მინისტრ დავით კირვალიძის განმარტებით, “დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცეს რუსეთის სანტარული ექიმის, გენადი ონიშენკოს მოთხოვნებს – სახელმწიფოს ხელი არ შეეშალა მსურველთათვის, აგრეთვე მისი სამსახურის ექსპერტებს დაინტერესებული საწარმოები ადგილზე უნდა მოენახულებინათ”.

რუსეთის სამომხმარებლო ბაზარს კვლავ მნიშვნელოვნად მიიხვევს “თბილღვინოს” ხელმძღვანელი ბიორბი მარბმ-ლაშვილი, რომელიც მოელის, რომ რუსეთის ბაზრის გახსნას ქართულ მეღვინეობაში ინვესტიციების შემოდინება და ჯანსაღი კონკურენცია მოჰყვება. “ტფილისის მარნის” აღმასრულებელი დირექტორი, ენოლოგი ბიორბი სამანოშვილი ჟურნალისტებთან საუბრისას აცხადებს, რომ რუსეთის ბაზარზე ქართული ღვინის დაბრუნება რეალურია:

ბიორბი სამანოშვილი: „ამ ყველაფერს თვეები დასჭირდება და წლის ბოლომდე არ გამოვა. გაისადაც ბევრ რამეზე იქნება დამოკიდებული, არა მხოლოდ მეღვინეობის დარგზე, არამედ პოლიტიკურ ნებაზე. როგორც გამოჩნდა, მხოლოდ საქართველოს მთავრობის შეცვლა არ არის გარანტია, რომ ქართული ღვინისთვის რუსეთის ბაზარი გაიხსნება. მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ მხარი დაუჭირა რუსეთის მსო-ში შესვლას და რადგანაც საქართველო მსო-ს წვერი ქვეყანაა, ამიტომ უნდა მოხდეს რუსეთში საქართველოს პროდუქციის დაშვება. თუმცა ამ ყველაფერს დრო დასჭირდება.“

რუსეთის ბაზრის გახსნას ქართული მეღვინეობის დარგისთვის ეკონომიკური სარგებელი, რა თქმა უნდა, ექნება. რუსეთის ბაზრის დაკეტილობა რა მოცულობის ღვინოც იყიდებოდა, ის მოცულობა დღეს მიღწეულია. თუმცა რუსეთის ბაზარი რომ არ დაკეტილიყო, ცხადია, გაყიდვა გაცილებით მეტი იქნებოდა. რუსეთის ბაზრის გახსნა შეიცავს ხარისხის დაცემის საფრთხეს, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა „ჩიტი ბღღვნად ღირს“.

როგორც ვიცი, 2005 წელს, ანუ, როცა რუსეთში ქართული ღვინის გაყიდვის პიკი იყო, საქართველოდან სულ 30 მილიონი ლიტრი ღვინო გავიდა. დღეს, ბაზარი თუ გაიხსნა, ამდენი ღვინის გატანა ნამდვილად ვერ მოხერხდება. მაქსიმუმ, 10 მილიონ ლიტრს შეიძლება მიაღწიოს წელიწადში. ეს დაახლოებით დოლარებში 20-25 მილიონის პროდუქციაა. ქართული ღვინის ნიშა რუსეთის ბაზარზე შენარჩუნებულია. ცხადია, არა იმ მასშტაბით, რაც ემბარგოს გამოცხადებისას იყო. ამ წელიწადსაც რომ არ გაიხსნას ბაზარი, ქართული ღვინის ნიშა უფრო შემცირებულია, მაგრამ მაინც იარსებებს“.

სოლიკო ცაიშვილი (კომპანია „ჩვენი ღვინის“ დამფუძნებელი): „ფული დიდი ცდუნებაა. თუ რუსეთის ბაზარზე ნებისმიერი ხარისხის ღვინის გაყიდვა იქნება შესაძლებელი, მაშინ ძნელი იქნება, მეღვინეებს ხარისხის შენარჩუნება მოსთხოვო. ზოგ ქვეყანაში ჩვენი ტერიტორიისხელა ვენახები აქვთ, ამიტომ არის საფრთხე, რუსეთის ბაზარმა მთლიანად შთანთქას ჩვენი მეღვინეობა და ხარისხი დაეარდეს... შეუძლებელია ეკონომიკისა და ბიზნესის წინააღმდეგ წასვლა, რუსეთის ბაზრის გახსნა კი ეკონომიკურ სარგებელს ნამდვილად მისცემს მეღვინეებს, მაგრამ, მეორე მხრივ, გვაქვს კარგი ღვინის დამზადების ამბიცია, თან ვამბობთ, რომ საქართველო ღვინის სამშობლოა, მაშინ სხვა გზა უნდა ავირჩიოთ. ეს გზა ევროპული და ამერიკის ბაზრებია, სადაც მხოლოდ მაღალი ხარისხის ღვინის გაყიდვა შეგვიძლია.“

ქვეყრის ღვინოს ვყიდით ტრადიციული მეღვინეობის ქვეყნებში – იტალიაში, საფრანგეთში, გერმანიაში, ასევე აშშ-ში. რუსეთის ბაზარზე ორიენტაცია რომ დავისახოთ მიზნად და რაც შეიძლება მეტი ვაწარმოოთ, ოღონდ ხარისხი აღარ იყოს ჩვენი მნიშვნელოვანი, მოცულობას გაზრდით, მაგრამ იგივე ღვინო აღარ გვექნება. მე პირადად, რუსეთში ღვინის გატანას არ ვგეგმავ. თუ მაგალითად, რუსეთიდან ვინმე ჩამოვა და უფრო მეტს გადაიხდის, ვიდრე უცხოელები იხდიან, რატომაც არა, გაყვიდი. მაგრამ ასეთი რამ მოსალოდნელი არ არის“.

თ. იოგაშვილი



სულიერება მოითხოვს სიფინდეს სიამართლისას გაზეთ “ილოროს” რედაქციას

ამქვეყნიურობის უზენაესობა სულიერებაა – დასაბამიდან ბრძოლა სულიერი განწყობისა და სულიერებისათვის, გამომდინარე აქედან – ჭეშმარიტების სრული სიწმინდით დამკვიდრებაა, მაგრამ ამ შეგონებას, მოწოდებას, ბრძოლას მრავალი სიმრუდე, უკეთურობა ეღობება და არის ჭიდილი ზნეობასა და სულ-დამცრობას შორის. სულიერების იდეალები მაღალია, ღვთიურად წმინდაა და კეთილშობილებით აღვსილი, მომღვარი სიკეთისა კი სიკეთითაა მიზანსწრაფული. სწორედ ამ ურთულეს პრობლემატურ საკითხს ეხება ახლახან გამოქვეყნებული წიგნი “არა არს დაფარული...”, რაც გაზეთ “საქართველო და მსოფლიოში” გამოქვეყნებული ინტერვიუების კრებულს წარმოადგენს.

გაზეთის ჟურნალისტები და რესპონდენტები ჭეშმარიტების დასადგენად, სიამართლის დღის სინათლეზე გამოსაშვარებლად გაისარჯნენ. ავტორთა მიზანს სულიერების გარშემო შექმნილი “კლიმატის” სულიერებით გარკვევა წარმოადგენდა და დიალოგი გამართეს საქართველოს სულიერ მამებთან.

წიგნი ნათლად წარმოაჩენს დღევანდელ პოლიტიკურ ფონზე ქართული ეკლესიის მდგომარეობას ფართო პლანით, მრევლს,

ფართო მკითხველ საზოგადოებას რეალური ვითარების კურსში აყენებს. წიგნი უსასყიდლოდ მიეწოდა მრევლს, მკითხველ საზოგადოებას. სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” კოორდინატორმა, ბატონმა ზაურ გახარამაძემ წაღწევის წმინდა მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ეკლესიის სამღვდლოებას საჩუქრად გამოუგზავნა აღნიშნული კრებული. წიგნი გადაეცა ეკლესიის მრევლს, მკითხველებს. წიგნის პოპულარიზაციისათვის დიდი სულიერებით კეთილი სამსახური გასწავს სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” წარმომადგენელმა წაღწევისაში, ბატონმა ნუგზარ ზარქუამ.

წაღწევის წმინდა მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ეკლესიის სამღვდლოება, მრევლი, მკითხველი საზოგადოება დიდის გულითადობით სწირავს მადლობას გაზეთ “საქართველო და მსოფლიოს” რედაქციას, ყველას, ვინ ამაგი გასწავს აღნიშნული კრებულის გამოსაცემად, კეთილშობილური მისიის აღსრულებისათვის, საჭირო და აუცილებელი წერილების გამოთხოვრებისათვის. ასევე ვემაღლიერებით ბატონ ზაურ გახარამაძეს – სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” კოორდინატორს, კრებულზე გაწეული ზრუნვისათვის.

ელდარ ჭითანავა, სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” წევრი

როგორც სტურუა – თვალთმაქცი ევროპა, ვეღარ გაწვდიან ქართველი ჩასუქებული ტირანჩიკები ჯამაბირს?

ცნობილი ქართველი რეჟისორი როგორც სტურუა იმ არაკეთილსინდისიერ საზღვარბეთელ ლოგისტებს მიმართავს, რომელთაც ბარკვეული ფინანსური შემოსავლები, ქართველი ხალხის მიერ, დაჰპარბუს ისტორიის სანაბზეუ მოსროლილი “ნაცვებისა” და სააკაშვილისაბან და ახლა ყოველნაირად ცდილობენ მოახდინონ საქართველოში სამართლიანობის აღდგენის განუხრებილი პროცესების დრამატიზირება:

“ო, ლობისტებო, ლობისტებო! შემოგაკლდათ ქართველი ხალხის ფული, რომელსაც ჩვენი დამაზი მთავრობა გიხდიდათ? ო, ლობისტებო, – ვთქვათ პირდაპირ, – ო, ქრთამო, მექრთამრეებო! დააკანონეთ ძარცვა პატარა ქვეყნების! ო, თვალთმაქცი ევროპა, ადამიანების უფლებებს ისტერიკულად რომ გვიქადაგებთ, ვეღარ გაწვდიან ქართველი ჩასუქებული ტირანჩიკები ჯამაბირს? ზამთრის ჩიორტებზე სეირნობა ვეღარ გამოგდით, ბავშვები ვერ დაისვენებენ შობის არდადეგებზე კორტინა დამპყვეობაში და ალპებში? იჭერენ თქვენ მათხვარ ფავორიტებს? ო, ამერიკის ბოროლა ჩინოფიკებო, დედამიწას თქვენ საკუთრებად რომ თვლით და საქართველოს ბედი კი ფეხებზე გიკიდით? ცოტა ჭამეთ, არა? გაბრაზდით, არა? მაიაში სახლებს ვეღარ ყიდულობთ?”

თუ სამართალი სამუდამოდ არ დაასამარეს ცივილიზაციის ერთგულმა შეიღებმა (მე კი მჯერა, რომ ჯერ ცოცხალია), თქვენც მოგივლით კანონი, ღვთის კანონი მაინც, გახრწნილო ლობისტებო, ამერიკის ევროპის და საქართველოსი”, – წერს როგორც სტურუა.



სპორტული კუთხე მიჰყავს შურნალისტ ბიორბი ჯალალანიას

ირაკლი მაისურაძე: ქეცხაიას მადლობა, მაგრამ მხოლოდ ბამოქსემა არ მაკმაყოფილებს

24 წლის ირაკლი მაისურაძე რუსთავის "მეტალურგის" ერთ-ერთ წამყვანი ფეხბურთელია. საქართველოს ეროვნული ნაკრების დამრიგებელი თემურ ქეცხაიაც კარგი თვალთუყურებს მაისურაძეს და ხშირად იბახებს ეროვნულ გუნდში. "მეტალურგს" ბოლო დროს ვერ მისდის საქმე რიგობადაც, გუნდი საქართველოს ჩემპიონატში მე-7 ადგილზეა. არადა, წინა სეზონში წარმატებით გამოდიოდა და სანამ აღმასკომი ჩემპიონად "ზესტაფონს" გამოაცხადებდა, ტიტულის მფლობელად კობა ჟორჟიკაშვილის გაწვრთნილი "მეტალურგი" ითვლებოდა.

რუსთავერ გუნდს ამ სეზონში მწვრთნელი შეეცვალა, გუნდს ახალგაზრდა სპეციალისტი გიორგი ყიფიანი თავადაცობს, თუმცა მნიშვნელოვანი შედეგი ჯერ არ ჩანს. მაისურაძესთან ინტერვიუც აქედან დაიწყო:

– მაინც რითა გამოწვეულია რუსთავის გუნდს "მეტალურგის" არცთუ კარგი გამოსვლა საქართველოს მიმდინარე ჩემპიონატში?

– ალბათ, გარკვეული ჩავარდნები გვაქვს, თორემ გუნდში არაფერია სიტუაცია. "მეტალურგის" ახალ მწვრთნელს საკუთარი ხედვა აქვს და თავისი მიმართულებით ცდილობს, რომ გვათამაშოს. როგორც ჩანს, რაღაც არ გამოგვდის, უიღბლობაც დაგეგმდა.

მიუხედავად ამისა, გუნდების ექვსეულეობად დაყოფამდე ჯერ კიდევ არის თამაშები და გვაქვს იმის რეალური შანსი, რომ ექვს საუკეთესო გუნდს შორის მოვხვდეთ. სპეციალისტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ "მეტალურგს" მეტი შეუძლია, ვიხუალებული თვალსაზრისით გუნდის თამაშში უკეთესობა არის.

– ჩავარდნა ასევე და ამასაც უნდა ჰქონდეს მიზეზი...

– მიზეზი ალბათ ის არის, რომ რუსთავის "მეტალურგმა" ამ სეზონისთვის მზადება სხვა გუნდებზე ბევრად ადრე დაიწყო, დაახლოებით ერთი კვირა მოგვიწია დასვენება წინა დაძაბული სეზონის შემდეგ, ევროპალიგაზე სათამაშოდ ვეშაბდებოდით.

სხვა რა გითხრათ? გუნდის შემადგენლობა 80 პროცენტით შენარჩუნდა, მაგრამ რაღაცა მთლად კარგად ვერ აქვს ჩვენი საქმე. ასეთი რამ ფეხბურთში ხშირად მომხდარა; აგერ, "ზესტაფონიც" ვერ თამაშობს ჯერ ისე, როგორც წინა სეზონში. ევროპულ გრანდებსაც ხშირად აქვთ ხოლმე ჩავარდნები და წარუმატებელი სეზონები. ეს, რა თქმა უნდა, ცუდია, მაგრამ ტრავმების შერაცხვად საბაბს არ იძლევა. სპორტში წარმატებები და ჩავარდნები ერთმანეთის გვერდიგვერდ მოდიან, ამიტომ, ერთისთვისაც მზად უნდა ვიყოთ და მეორისთვისაც. სამუდამო არაფერია, ეს უნდა გვესმოდეს ჩვენც და ჩვენს გულშემატკივრებსაც!

– რა სიახლეები დანერგა "მეტალურგის" ახალმა მთავარმა მწვრთნელმა გიორგი ყიფიანმა?

– ამ მწვრთნელის ხელში უფრო ხარისხიანი და ტექნიკური ფეხბურთისკენ მივიწვრავით, მკაფიოდ უნდა იყოს გარკვეული, ვინ რას აკეთებს საკუთარ პოზიციაზე, რა ქმედებებს აკეთებენ მცველები, მერე ნახევარმცველები და შემდეგ თავდამსხმელები. ეს ყველაფერი ავტომატისხარისხში რომ მივიყვანოთ, ამას დრო და დიდი ხნის თავაულებელი შრომა სჭირდება.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ კობა ჟორჟიკაშვილმა "მეტალურგში" დიდ წარმატებას მიაღწია. მაშინ შედეგზე კეთილგონადობა ძირითადი გათვლა და მიზანი შევასრულეთ.

– მატჩებზე გულშემატკივართა დასწრება ქვეყნის საერთო პრობლემაა, მაგრამ შენც გეიტხავს – რუსთავერში "მეტალურგის" თამაშებზე ბევრი მაყურებელი რატომ არ დადის?

– არ ვიცი. ზესტაფონში, ქუთაისში, ზუგდიდსა და მარტვილში მართლაც მეტი მაყურებელი დადის მატჩებზე. წინა სეზონში "მეტალურგი", ფაქტობრივად, ჩემპიონი გახდა, მაგრამ მაშინაც არ დადიოდა ბევრი მაყურებელი ჩვენს საშინაო მატჩებზე. დაბალი დასწრება შედეგის ბრალი არ უნდა იყოს. ამის მიზეზი გულშემატკივრების დამოკიდებულებაში უნდა ვიყოთ. ბილეთი არ ღირს იმდენად ძვირი, რომ გულშემატკივარმა მისი შექენა ვერ მოახერხოს. ალბათ, უფრო გულშემატკივრის ინდეფერენტულობის ბრალია ყველაფერი, რაც მისი მძიმე სოციალური და ეკონომიკური ყოფით არის განპირობებული. ახლა, როცა ხალხს ცხოვრების პირობების გაუმჯობესების იმედი გაუჩნდა, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, ვფიქრობ, რომ ეს განწყობა გულშემატკივრებზეც გავრცელდება და სტადიონები კვლავ შეივსება.

– საქართველოს ჩემპიონატში უახლოესი მატჩი ქუთაისის "ტორპედოსთან" გელით, რომელთანაც პირველ წრეში დიდი ანგარიშით – 0:4 წააგეთ...

– ის მარცხი დავიწყებულა. ქუთაისში რთული თამაში გველის, "ტორპედო" ძალიან ლამაზ ფეხბურთს თამაშობს, გუნდს ჩინებული მწვრთნელი ჰყავს. კარგია, რომ ხელონურ განათებაზე მშვენიერ მოედანზე ვითამაშებთ. ტრადიციულად, ქუთაისში გულშემატკივარიც მრავლად დადის სტადიონზე და ასეთ გარემოში თამაში სასიამოვნოა. დანარჩენი კი მინდორზე გამოჩნდება. ჩვენ უკან დასახვევი გზა აღარ გვაქვს.

– ყიფიანი რას გავაღებს, რა არის მისი მთავარი მოთხოვნა?

– გაანია, რა ტაქტიკით მოვიწვევს თამაში. მარტვილის "მერანთან" ოთხი თავდამსხმელით ვითამაშეთ და ერთ-ერთი მე ვიყავი. ორ ნომინალურ ფორვარდს შეტევით დროს ორი კაცი ვეხმარებოდით ფლანგებიდან შუისკენ შეწეულები. საერთოდ, შუაში თამაში მირჩევნია ფლანგზე ყოფნას.

– ყიფიანის სამწვრთნელო კონცეფციაზე უფრო კონკრეტულად რას გვეტყვი? მაინც რა სტილის მიმდევარია იგი, როგორც სპორტული პედაგოგი?

– ის ფეხბურთი, რასაც "ზესტაფონი" და "ტორპედო" თამაშობენ, რუსთავერშიც მალე იქნება, ოღონდ ამას დრო სჭირდება. როცა ფეხბურთს ლამაზად თამაშობ და ასე იმარჯვებ, ორმაგ სიამოვნებას განიცდი, ვიდრე ჯახით და ბრძოლით მოპოვებული გამარჯვების დროს. ამიტომ, ვარჩევთ ტექნიკურ სტილს და უარს ვამბობთ ძალიან ძვირ ფეხბურთზე, რაც ხშირად დასანანი ტრავმების მიზეზი ხდება ხოლმე.

ყიფიანის მიმართულებაც ლამაზი და კომბინაციური თამაშია, ფეხბურთი ხომ პირველ რიგში მაყურებლისთვისაა...

– ბოლოს საქართველოს ნაკრებზეც ვთქვით. თემურ ქეცხაია ხშირად გიწვევს ნაკრებში, თუმცა თამაში, ფაქტობრივად, ჯერ არ გიწვეს...


– ნაკრების მწვრთნელის მადლობელი ვარ, რომ მიწვევს, მაგრამ ჯერ მხოლოდ ერთხელ მომიწია თამაში, მოლდოვასთან ამხანაგურ შეხვედრაში. არადა, მინდა, რომ ჩემი წვლილიც შევიტანო და ამის დამტკიცება მსურს. მხოლოდ ნაკრებში გამოძახება არ მაკმაყოფილებს.



გამოვიდა პირველი ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერიბა – XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი".

გამოვიდა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნის შექმნა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ. №68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რელიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ. №6-ში (დიდუბე). ტელ. 599.573.322.



დიმიტრი მედვედევი: „ჩვენ გზად ვართ დიალოგისათვის საქართველოს ახალ ხელისუფლებასთან“

"მოსკოვის დიალოგი საქართველოს ახალ ხელისუფლებასთან შესაძლებელია არსებული გეოპოლიტიკური რეალიების გათვალისწინებით", – განუცხადა ამას წინათ გამოცემა "კომერსანტს" რუსეთის ფედერაციის მთავრობის მეთაურმა დიმიტრი მედვედევმა.

„ეს ყველაზე იოლი გზა როდია, თუმცა, რუსეთი ყოველთვის ამბობდა, რომ ჩვენ მზად ვართ საქართველოს ახალ ხელისუფლებასთან დიალოგისათვის, მაგრამ, ცხადია, არსებული გეოპოლიტიკური რეალიებისა და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების შესახებ რუსეთის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გათვალისწინებით“, – განაცხადა მან გამოცემასთან ინტერვიუში.

კითხვის პასუხად, მზადაა თუ არა იგი საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან შესახვედრად, დიმიტრი მედვედევმა აღნიშნა, რომ რუსეთის ფედერაციის ხელისუფლება გულდასმით ადევნებს თვალს ამ ქვეყნიდან წამოსულ სიგნალებს და იქვე განმარტა, რომ უწინ შეუძლებლად მიაჩნდა მხოლოდ სააკაშვილთან დიალოგი.

„ერთხელ როგორღაც ვთქვი, რომ ერთადერთი, ვისთანაც მზად არ ვარ ერთ მაგიდასთან დასაჯდომად, მიხეილ სააკაშვილია. მან დაიწყო ომი, ჩაიდინა დანაშაული, პირველ რიგში ქართველი ხალხის წინაშე, სხვა ხალხების წინაშე, რომელთა მოქალაქეების სიკვდილშიც დამნაშავეა. ამ

გამინდელი პრემიერ-მინისტრი კი უკვე პოლიტიკოსთა სხვა თაობაა, დაგაკვირდებით მის რეალურ მოქმედებებს. იქიდან რაღაც სიგნალები მოდის იმის თაობაზე, რომ კარგი იქნებოდა კონტაქტების დამყარება, მართალია, ჯერ არა – დიპლომატიურ დონეზე, თუმცა, შეგახსენებთ, რომ დიპლომატიური ურთიერთობები საქართველომ, და არა რუსეთის ფედერაციამ, გაწყვიტა. ყურადღებით მოვეყვირებით ამ სიგნალებს. ცუდს ვერაფერს ვხედავ იმაში, რომ ჰუმანიტარული ურთიერთობები აღვადგინოთ, ჩვენი თვითმფრინავები აქეთ-იქით დაფრინავს, ხალხს შორის კონტაქტია, კულტურული კავშირები შენარჩუნებულია, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებიც შეიძლება აღდგეს...“, – აღნიშნა რფ-ის პრემიერ-მინისტრმა.



იუმორი

მივლინებიდან დაბრუნებულმა ქმარმა ცოლი რესტორანში წაიყვანა. რესტორნიდან ორივერნი მთვრალეები გამოვიდნენ.

– მოდი, შენთან ავიდეთ! – უთხრა ქმარმა.
– გაგიფიქრე?! დღეს ჩემი ქმარი ჩამოვიდა.

– რა იქნა შენი ლამაზი მდივანი?
– გავანთავისუფლე.
– რატომ?
– იდიოტური სიცილი ჰქონდა.
– თანამშრომლებს რომ არასოდეს შეუშინებიათ?!

– ეგლა მაკლია, ტანსაცმლის გახდისას თანამშრომლები დავისწრო...

მეგრელი მატარებელი კუპეში თანამგზავრ ქალს ეკითხება:
– გათხოვილი ხართ, ქალბატონო?
– დიახ!
– შეილებიც გყავთ?
– 29 წლის ბიჭი!
– ხოს... ძილი ნებისა, ქალბატონო!

– ეს შენ ხარ ჩემპიონი ას მეტრზე სირბილში?
– დიახ.
– აუ, ძმურად, არაყზე გავარდი, ორ წუთში მაღაზია იკეტება.

– ძვირფასო, მე მხოლოდ ტორტის და თევზის მომზადება ვიცი.
– არა უშავს, ოღონდ მითხარი, ეს ტორტია თუ თევზი?

ISSN 1987-8966 "ილორი"

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული
სარეკ. №01018002930
234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალალანია
სარედაქციო საბჭო:
თამარ ქორიძე, ზურაბ ჯამბურია, თანაოზ კახლაშვილი, კლინაშვილი, გივი სოხიანიძე, ლაშო ქობალაია, გიორგი სიჭინავა, ნოზარ სალაყაია (ბალი)
ტექნიკური რედაქტორი: გიორგი მარტვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალაია 599-34-37-27

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე
WWW.saqinform.ge